# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 2 აგვისტო 2008 №177 (3401) ფასი 50 თეთრი


# ქართულ აუდიტორიას ახალი ლექტორი ჰყავს!



## სენიორ, გზა დაგვეკარგა და თქვენ ხომ არ იცით?

# ლამდენი წლის ხალ?



**საქართველოს** თასის მფლობელი „ზესტაფონი" ორი მატჩის ჯამში ორჯერ უგებდა უნგრულ „დიორ ეტოს": ჯერ უნგრეთში დაწინაურდა, მერე კი შინ.

და მაინც, ჩვენდა სამწუხაროდ, ზესტაფონელებმა კარგად დაწყებული საქმე მეტოქის საამებლად დაასრულეს...

რა მოხდა და როგორ, ვფიქრობთ, ამაზე დეტალურად იმერულ კლუბში იმსჯელებენ, ქვემოთ კი, ზესტაფონელთა მთავარი მწვრთნელის, თემურ მახარაძის მიერ პრესკონფერენციაზე ნათქვამ ერთ ფრაზას ჩავუტარებთ რევიზიას.

„დიორ ეტოსთან" შინ წაგებული მატჩის მერე თემურ მახარაძემ თქვა: „აშკარაა, რომ „დიორ ეტო" „ზესტაფონზე" მაღალი კლასის გუნდია. თავს ზემოთ ძალა არ არის. ჩვენი გუნდი ძირითადად 19-20 წლის ბიჭებითაა დაკომპლექტებული და მათ ამ ორი თამაშით უდიდესი გამოცდილება მიიღეს."

აი, ეს არის თემურ მახარაძის კომენტარი.

რამდენად აშკარაა „დიორ ეტოს" კლასის მეტობა „ზესტაფონისაზე", ამაზე სიტყვას არ შევაჩერებთ, რაკი საკამათო საკითხია: ზოგი ასე ჩათვლის, ზოგი — ისე.

ნებისმიერი ამ დონის თამაში რომ გამოცდილებისთვის სასარგებლოა, ამაში მწვრთნელს აბსოლუტურად ვეთანხმებით. აი, რაც შეეხება გუნდის 19-20 წლის ბიჭებით დაკომპლექტებას...

მოდი, ვნახოთ, იმ 14 ფეხბურთელიდან, რომლებმაც „დიორ ეტოს" წინააღმდეგ ზესტაფონურ მატჩში ითამაშეს, ვინ რამდენი წლისაა:

| | |
|---|---|
| როინ კვასხვაძე | 19 |
| სევასტო თოდუა | 32 |
| უჩა ლობჟანიძე | 21 |
| როინ ონიანი | 33 |
| ბოიომო ფრიდოლინი | 26 |
| მურთაზ დაუშვილი | 19 |
| ჟილვან ვიეირა | 24 |
| ირაკლი ძარია | 19 |
| ერიკ რომეო ჩასემი | 23 |
| ბექა გოცირიძე | 20 |
| ნიკა გელაშვილი | 23 |
| შეცვლაზე შევიდნენ | |
| ედსონ სანტოსი | 27 |
| ნიკა კვასხვაძე | 20 |
| ზურაბ იონანიძე | 37 |

თუ სწორად გვესმის, „გუნდი ძირითადად 19-20 წლის ბიჭებითაა დაკომპლექტებული" იმას ნიშნავს, რომ ამ ასაკის ფეხბურთელები მთლიანი შემადგენლობის სულ მცირე 50%+1-ს უნდა შეადგენდნენ. აქ მოტანილი სიიდან კი 19-20 წლის ბიჭები აშკარა უმცირესობაში არიან.

14-ის ფარგლებში არითმეტიკასაც რომ თავი დავანებოთ, ვილაც აუცილებლად გეტყვით: თქვე კაი ხალხო, ახლა რომ იმართლებთ თავს, გეთამაშებინათ ზრდასრული ფეხბურთელებიო. ვილაც ამასაც იტყვის: კი მაგრამ, გოლის გამტანი ბექა გოცირიძე 20 წლის არ არისო?!

მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ ამგვარი არგუმენტებით თავის მართლება გულშემატკივარს კიდევ უფრო აღიზიანებს და კლუბის ავტორიტეტს ვერაფერს მატებს.

**ძოტე ძეძელია**

# ხუბუტია ბუქარესტის დინამოში?




**22 წლის** აკაკი ხუბუტია, შესაძლოა, ბუქარესტის „დინამოში" გადავიდეს. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველმა რუმინული გუნდის მწვრთნელ მირჩა რედნიკს თავი მოაწონა და არ არის გამორიცხული, კონტრაქტი გაუფორმონ. ხუბუტია ლიტვური „კაუნასის" საკუთრებაა და პრობლემას სატრანსფერო თანხა ქმნის, თუმც რედნიკს რომ ჩვენიანი მოსწონს, ეს მისი საუბრიდანაც ჩანს.

„გასინჯვაზე გვყავს ქართველი მცველი, საკმაოდ პერსპექტიულია, ვარჯიშებზეც კარგად გამოიყურებოდა. მშვენივრად თამაშობს თავით და მებრძოლია".

ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან. ისეც შეიძლება, ხუბუტია ზამთრამდე დარჩეს „კაუნასში" და „დინამოში" მერე გადავიდეს.

„დინამო" რუმინეთში „სტიაუას" მერე ყველაზე სახელიანი და ნორმალური კლუბია, შარშანდელ ჩემპიონატში კი ცოტა ჩავარდნა ჰქონდა და მეოთხე ადგილი დაიკავა.

**ილია ნანოგაშვილი**

# კანკავამ კოჭი გაიტეხა

**უიღბლოდ** დაიწყო ეს წელი ჯაბა კანკავასთვის. საქართველოს ნაკრებისა და დნეპროპეტროვსკის „დნიპროს" საყრდენმა ჯერ მხრის ოპერაცია გაიკეთა და, როგორც იქნა, მომჯობინდა, თუმც გუნდის ბოლო ვარჯიშზე ისევ ტრავმა მიიღო.

ექიმების ვერდიქტი მკაცრია — მარცხენა კოჭის მოტეხილობა. ეს კი ნიშნავს, რომ ჯაბამ ერთი თვე თაბაშირი უნდა ატაროს, ამის შემდეგ კი აღდგენითი პროცესები უნდა დაიწყოს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გურუამ უქმობას მგლობა არჩია

**საქართველოს** ჩემპიონატის დაწყებამდე ორი ზუგდიდური კლუბის, „მგლებისა" და „ბაიას" გაერთიანება არ მოხდა და ისინი ისევ ცალ-ცალკე ითამაშებენ.

„ბაიამ" უმაღლესლიგელი გუნდის რამდენიმე ფეხბურთელი გადაიბირა, „მგლებს" კი სეზონის წინ პრობლემები დაუგროვდა — გაურკვეველი იყო კლუბის ფინანსური მდგომარეობა და ამიტომაც იყო, რომ იქაურობა რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. თუმც ბოლო დღეებში მდგომარეობა შეიცვალა...

„მგლებს" ზუგდიდის გამგეობა და ლაშა დარასელია დააფინანსებენ. უკვე შევსებაც მიიღეს. ახალწვეულთა შორის გამოსარჩევი ორია — კვიპროსიდან დაბრუნებული კონსტანტინე დარსანია და საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ვალტერ გურუა, რომელსაც ბოლო წლები არ უთამაშია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ვიტ ჯორჯია და ორი ქართველი

**უეფას** თასზე ქართველები მხოლოდ საქართველოდან არ ითამაშებენ, თუმცა გიორგი შაშიაშვილის და ილია კანდელაკის „შტურმის" გარდა, ვერც ერთი სხვა ლეგიონერის გუნდმა პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვა ვერ მოახერხა. არადა, შანსი ყველას ჰქონდა...

აზერბაიჯანულ „ოლიმპიკს", რომელიც რომან ახალკაცის გოლით იგებდა, ოთხი წუთი დააკლდა, რათა თამაში დამატებით დროში გადაეყვანა. აზერბაიჯანელებმა გოლი 86-ე წუთზე გაუშვეს და მომდევნო ეტაპზე „ვოივოდინა" გაატარეს. ახალკაცმა 71 წუთი ითამაშა, მიხეილ ხუციშვილი კი ბოლო წუთზე შეცვალეს.

„დაჩია" ლევან კორღალიძის გოლით სტუმრად „ბორაცთან" უკვე მესამე წუთზე იგებდა. შინ 1:1 ნათამაშებმა მოლდოველებმა უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და კარში სამი ბურთი, მომდევნო ეტაპზე კი მეტოქე გაუშვეს.

სასტარტოში იყვნენ სერგი ორბელაძე და ჯაბა დვალი.

სრულად იბურთავა გივი კვარაცხელიამ. მისი „მტზ-რიპო" კი ბოლო წუთზე დამარცხდა „ჟილინასთან".

ამ გუნდებს ბელარუსში 2:2 ჰქონდათ ნათამაშები და კვარაცხელია და მისი გუნდი უეფას თასს დაემშვიდობნენ.

არ უთამაშია ლაშა ნოზაძეს, ყარაგანდის „შახტიორი" კი 0:1 დამარცხდა უნგრულ „დებრეცენთან" და სხვა ქართველთა გუნდების ბედი გაიზიარა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მუჯირმა კინაღამ ფეხები დაკარგაო

**საქართველოს** ნაკრების შემტევ დავით მუჯირის უთამაშებლობის მიზეზი მწვრთნელი და არასათანადო ფორმა რომ გვეგონა, ჩვენებურსი საქმე ისე ჰქონია, კინაღამ ფეხბურთისთვის თავი მიუნებებია...

„რატომ არ თამაშობდა მუჯირი? იცით, რომ საქართველოს ნაკრების შეკრებაზე ისეთი ტრავმა მიიღო, ფეხები კინაღამ დაკარგა?! საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა. ახლა მუჯირი თანდათან იბრუნებს ფორმას" — უთხრა ჟურნალისტებს „ლოკომოტივის" მწვრთნელმა რაშიდ რახიმოვმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**




ბოლნისის „სიონის"
თავდამსხმელს
სულიკო დავითაშვილს
ვულოცავთ ვაჟის,
შიოს
დაბადებას!
სასახელო ვაჟკაცი გაზრდილიყოს!
*სარბიელელები*


## ამხანაგური მატჩები

სელტიკი 0:2 ტოტენჰემი
არმინია 0:0 ტვენტე
ლევერკუზენი 2:0 ფრაიბურგი
გრონინგენი 4:2 აპელდორნი
ნიუკასლი 0:1 ჰერტა
ალემანია 0:4 შალკე
დონკასტერი 0:5 ბოლტონი
ბრისტოლი 4:0 ანტვერპენი
ფეიენოორდი 1:2 დორტმუნდი
ჰერეფორდი 1:2 ვესტ ბრომვიჩი
საუთჰემპტონი 2:2 ვესტ ჰემი
მალიორკა 4:2 ჰანოვერი
გიმარაეში 2:1 პსჟ
ჯენოა 1:0 აეკ
დუისბურგი 1:1 კიოლნი
ვიეტნამი 0:2 ბრაზილია (U-23)

## ოთხთა ტურნირი

მილანი 0:1 სევილია
ლოკომოტივი (მ) 1:1 (5:4პ) ჩელსი

## სლოვენია

I ლიგა. III ტური
ნოვა გორიცა 0:2 რუდარი

## ბრაზილია

სერია A. XVI ტური
კურიტიბა 0:1 გრემიო
სპორტ რესიფე 3:1 იპატინგა
ვასკუ და გამა 6:1 ატლ. მინეირო

## საფრანგეთი

II დივიზიონი. I ტური
აიაჩო 0:1 შატორუ
ამიენი 1:1 ბულონი
ანჟერი 3:1 რეიმისი
კლერმონი 0:1 ვანე
ტუარი 2:1 სედანი
ტრუა 1:2 ბასტია
გენგამი 0:1 მეცი
ლანსი 3:1 დიჟონი
ნიმი 0:1 ბრესტი

## ავსტრია

ბუნდესლიგა. V ტური
მატერსბურგი 3:1 ალტახი
I დივიზიონი. IV ტური
ლუშტენაუ 1:2 აუსტრია (მ)
ადმირა 0:2 აუსტრია (ლ)
გრატკორნი 2:1 ზალცბურგი (მ)
ლეობენი 2:1 სენტ პოლტენი
ვიოკლაბრუკი 1:0 ნოიშტადტი

## უკრაინა

ვიშა ლიგა. III ტური
ჩერნომორეცი 3:0 კარპატი

## ირლანდია

პრემიერლიგა. XXI ტური
ბოჰემიანსი 3:0 კობი
დერი 0:1 შემროკი
დროჰედა 2:0 ბრეი
ფინ ჰარპსი 0:2 გალვეი

ლანჩხუთის „გურიას" ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი მწუხარებით იუწყება,
რომ გარდაიცვალა „გურიას" ყოფილი მეკარე
**ავთანდილ კირვალიძე**

# როგორ ინიშნებოდა კუპერი...





**ეს** ამბავი ასე დაიწყო: 24 მარტს საქართველოს ნაკრებმა ბელფასტში, ჩრდილოეთ ირლანდიასთან ზედიზედ მესამე მატჩი წააგო. იმ დროისთვის ეროვნული გუნდის მწვრთნელის კლაუს ტოპმიოლერის მიმართ ნეგატიური საზოგადოებრივი აზრი უკვე შექმნილი იყო — ლიტვასთან და ლატვიასთან უსუსური და წაგებული მატჩების შემდეგ ტოპმიოლერს კიდევ ერთ მარცხს აღარ აპატიებდნენ.

დადგა 24 მარტიც და ჩვენები 1:4 განადგურდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ საფეხბურთო სამყაროში კლაუს ტოპმიოლერს არცთუ ცოტა მხარდამჭერი კიდევ შერჩენოდა, ეჭვიც აღარ იყო, საზოგადოების მოთხოვნა იძალებდა და ტოპმიოლერს დაითხოვდნენ.

ბელფასტური მატჩიდან ფეხბურთის ფედერაციამ რამდენიმე დღე გვადროვა და გერმანელი მწვრთნელის საქართველოში მუშაობის დამთავრების თაობაზეც გამოაცხადა.

იქნებ სიმბოლურიც არის: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა ტოპმიოლერთან კონტრაქტის შეწყვეტაზე 1 აპრილს თქვეს, ზუსტად ოთხი თვის თავზე ანუ გუშინ, 1 აგვისტოს კი...

თუმცა, მოდით, ცოტა კიდევ შორიდან მოვყვეთ: ფეხბურთის ფედერაციამ ახალი მწვრთნელის ძიება დაიწყო და სახელიანი თუ ნაკლებადცნობილი სპეციალისტების სიაც დღითიდღე ფართოვდებოდა. ჟერარ ულიე და ფილიპ ტრუსიე, ავრაამ გრანტი და რეინალდ დენიო, ხოსე პეკერმანი და ზიკო, ლუის ვან გაალი და შენოლ გიუნეში, სრეჩკო კატანეცი და ბრანკო ივანკოვიჩი, პეტარ სეგრტი და თემურ ქეცბაია, ფოლკერ ფინკე და მარსელო ბიელსა... ფეხბურთის ფედერაცია ამ და სხვა მწვრთნელებთან მოლაპარაკებებს იწყებდა და ამთავრებდა, ზოგისგან თანხმობას იღებდა, ზოგისგან უარს, ზოგმაც ცოტა მადროვეთო... ამასობაში კი ნაკრების ორი ამხანაგური მატჩიც მოახლოვდა. ჩვენებს ჯერ ესტონეთი ელოდათ, შემდეგ — პორტუგალია და ამ დროს თბილისში ხორვატი მწვრთნელი ბრანკო ივანკოვიჩი ჩამოვიდა. ეროვნული სტადიონი, საგურამოს საწვრთნელი ბაზა, მეორე ბაზა „ბასა" — ასეთი იყო ივანკოვიჩის ერთდღიანი ექსკურსია თბილისში და ისე დაგვემშვიდობა, ჩინებულიაო, ეს სიტყვა პირიდან არ მოშორებია. ივანკოვიჩს საბოლოო პასუხი მალე უნდა შემოეთვალა, მაგრამ ეს „მალე" არ მთავრდებოდა და საბოლოოდ, ივანკოვიჩი ზაგრების „დინამოში" დაინიშნა.

ესტონეთთან და პორტუგალიასთან ეროვნული გუნდი ახალგაზრდულის თავკაცმა პეტარ სეგრტმა გაიყვანა. 1:1 ტალინში, 0:2 ფარეულში — ასეთი იყო ნაკრების შედეგი. ბევრი ფეხბურთელი, ქომაგი თუ სპეციალისტი საქართველოს ნაკრებში უკვე სეგრტის სასარგებლოდ ალაპარაკდა. ეროვნული გუნდი სწორედ სეგრტს ჩავაბაროთო, ამბობდნენ და საამისოდ, აი, ეს არგუმენტები მოჰყავდათ: სეგრტის ხელფასს მილიონები არ დასჭირდება, ის კარგად იცნობს ქართულ ხასიათს, ზოგადად საქართველოს და ფეხბურთელებთანაც ურთიერთობა არ უჭირსო.

ფედერაცია კი ისევ სხვა მწვრთნელის ძიებაში იყო. ფიფას აგენტ აკა ტონიას დახმარებით ხმა უკვე სახელოვან არგენტინელ ექტორ რაულ კუპერსაც მიაწვდინეს. ოღონდ ეს ამბავი გაუხმაურებელი დარჩა. სამაგიეროდ გახმაურდა, რომ ფედერაციამ ინტენსიური მოლაპარაკებები დაიწყო გერმანელ ფოლკერ ფინკესთან და ორი კვირის წინ თბილისში ეს მწვრთნელიც ჩამოვიდა. მანაც იგივე მარშრუტით იმოძრავა, როგორითაც ივანკოვიჩმა.

გერმანელიც კმაყოფილი წავიდა და ხორვატისგან განსხვავებით, აქვე თქვა, დიდი სიამოვნებით ვიმუშავებ საქართველოს ნაკრებშიო.

საფეხბურთო საქართველოს ერთი ნაწილი უკვე ფოლკერ ფინკეს დანიშვნას ემხრობოდა...

ფეხბურთის ფედერაციამ აღმასკომის სხდომა 28 ივლისისთვის დანიშნა და იქვე გამოაცხადეს, რომ ნაკრების მწვრთნელის ვინაობაც სწორედ ამ სხდომაზე გაირკვეოდა. კანდიდატი ორი იყო — ფინკე და სეგრტი.

კეთილ მეგობრებს რა გამოლევს. ღამეული ზარი უცხოეთიდან: კუპერი! მაშინ, როცა საფეხბურთო საქართველო ფინკესა და სეგრტის დანიშვნის მოლოდინში იყო, იმ ზარიდან მეორე დღეს, 24 ივლისს, „სარბიელის" პირველი გვერდი ასეთი სათაურით გამოვიდა: „ექტორ რაულ კუპერი ერთი ხელის გაწვდენაზეა".

...ძალიან მოულოდნელად ფედერაციის გენმდივანი უჩა უგულავა და ფიფას აგენტი აკა ტონია მადრიდში კუპერის აგენტ ალეხანდრო კამანოსთან შესახვედრად გაემგზავრნენ. თავად კუპერი იმ დროს ოკეანის გაღმა, არგენტინაში იყო. მოლაპარაკებები კამანოსთან მიმდინარეობდა, პერიოდულად კი საუბარში ტელეფონით კუპერიც მონაწილეობდა. ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები, ცხადია, საქმის კურსში იყვნენ. გამთენიისას კი ერთი სიტყვა არგენტინიდან იყო, მეორე — საქართველოდან, რომლებიც ერთმანეთს მადრიდში შეერწყა. სინამდვილეში ეს ერთი სიტყვა იყო, ოღონდ ორ სხვადასხვა ენაზე წარმოთქმული: ესპანურად — SI, ქართულად — ჰო! საქართველოს ნაკრების მწვრთნელად რაულ ექტორ კუპერის დანიშვნა უკვე ფორმალობა იყო...

მეორე დღეს კუპერი მადრიდში ჩაფრინდა, უგულავა და ტონია თბილისში წამოვიდნენ. მწვრთნელმა პირადი საქმეები მოაგვარა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დაჯავშნული ბილეთი აიღო და აგენტთან ერთად თბილისში ჩამოვიდა. ფედერაციამ და არგენტინელმა ერთხელაც დაადასტურეს თანამშრომლობის სურვილი. კუპერიც აღარ შეყოვნებულა, დარჩენილი საქმეების მოსაგვარებლად უკანვე დაბრუნდა. ჩვენში კი უკვე ხმამაღლა ითქვა, რომ პარასკევს აღმასკომის სხდომის შემდეგ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები ტოპმიოლერის დათხოვნიდან ზუსტად ოთხი თვის შემდეგ ოფიციალურად გამოაცხადებდნენ ექტორ რაულ კუპერს საქართველოს ნაკრების მწვრთნელად...

პარასკევი გუშინ იყო, აღმასკომის სხდომაც და სხდომის შემდგომი პრესკონფერენციაც, რომელიც ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა, გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ და ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ გამართეს.

**ნოდარ ახალკაცი:** ჯერ კიდევ ოთხშაბათის აღმასკომზე ითქვა, რომ მწვრთნელის საკითხს პარასკევის სხდომაზე მივუბრუნდებოდით. დღეს შევიკრიბეთ და სწორედ მწვრთნელის ამბავზე ვიმსჯელეთ და საერთო აზრიც გამოიკვეთა: აღმასკომის გადაწყვეტილებით საქართველოს ნაკრების მწვრთნელად ექტორ რაულ კუპერი დაინიშნა, რასაც ქართულ საფეხბურთო სამყაროსაც და თავად არგენტინელ მწვრთნელსაც ვულოცავ. იმედი გვაქვს, კუპერის ხელში საქართველოს ნაკრები დიდ წარმატებებს მიაღწევს. საამისო წინაპირობა ჩვენ ნამდვილად გვაქვს.

— კუპერთან კონტრაქტის პირობები კონფიდენციალურია, თუმც ერთს კი გეტყვით: კონტრაქტში გათვალისწინებულია საბონუსო სისტემაც. ბონუსები იმ შემთხვევაში გაიცემა, თუ საქართველოს ნაკრები შესარჩევ ჯგუფში მესამე ადგილზე უარეს შედეგს არ აჩვენებს. მეოთხე ადგილისთვის ბონუსს არ გადავიხდით.

— დარწმუნებული ვარ, მომავალში ბევრი საინტერესო პროცესის მოწმენი ვიქნებით. ჩვენი მიზანი მაქსიმალურად ბრძოლისუნარიანი ნაკრების შექმნაა და ეს კუპერის ხელმძღვანელობით მოხერხდება.

— დღევანდელ აღმასკომზე კუპერი ერთადერთი კანდიდატურა იყო. ასეთი გადაწყვეტილება აღმასკომის წევრებთან წინასწარი მსჯელობის საფუძველზე მივიღეთ.

— ახალ მწვრთნელთან კონტრაქტი დღეიდან არის ძალაში ... მომავალი შესარჩევი ციკლის ... მთავრებამდე იმოქმედებს. თა... კუპერი თბილისში ოთხშაბათს ... ხუთშაბათს ჩამოვა და კონტ... ქტსაც ხელს მაშინ მოვაწერ...

— მწვრთნელი თავის თანაშ... წეებსაც ჩამოიყვანს, ოღონდ მ... ვინაობას ჯერ ვერ გეტყვით.

— კუპერს ეროვნულ გუნდ... პირველი ნაცნობობა უელსთან ... ტჩისას ექნება. მოგეხსენებათ, ... ამხანაგური მატჩებისთვის ფი... კალენდარული დღეა და საქ... როა, რომ ამ შეხვედრისთვ... სამზადებლად ნაკრები სულ ... ვარჯიშის ჩატარებას მოასწ...

**უჩა უგულავა:** ექტორ რაულ ... პერი საქართველოში იცხოვრე... ჩემპიონატისა და თასის მატჩ... დაესწრება და მაქსიმალურად ... დება, ქართულმა ფეხბურთმა ... ტენციალის სრული რეალიზება ... ძლოს. საქართველოში ყოფნით ... თავის საქმეს უფრო უკეთ გააკ... თებს.

**გოგი ქავთარაძე:** ქომაგი დიდ... ინტერესით ელოდა, როდის დაი... ნიშნებოდა ნაკრების მწვრთნელ... და დღეს შეგვიძლია მათ მივ... ლოცოთ, რომ ეროვნულ გუნდს ას... თი კვალიფიცირებული თავკაც... ჰყავს. მადლობა ყველას, ვინც მ... ვრთნელის დანიშვნის საქმეში მ... ნაწილეობდა და თავად იმ მწვრთ... ნელებსაც, რომლებიც კანდიდატე... ბი იყვნენ. ისინიც საკმაოდ კვალიფიცირებულნი არიან.

— კუპერის მოწვევის ერთ-ერთ... გადამწყვეტი ფაქტორი სწრედ მ... სი მოტივაცია იყო. ჩვენი ნაკრები, ცხადია, შედეგზე იქნება ორიენტირებული და იმედი გვაქვს, ერთობლივი მუშაობით დიდ წარმატებებს მივაღწევთ.

**კობა ინასარიძე**

# უეფას თასი 2008-2009
## მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. წილისყრა

## ავსტრია

ვენა, ავსტრია
დაარსდა 1911 წლის 12 მარტს
კლუბის პრეზიდენტი: ვოლფგანგ კაციანი
მთავარი მწვრთნელი: კარლ დაქსბახერი
სტადიონი: „ჰორ შტადიონი" (ტევადობა 11 800)
ქვეყნის ჩემპიონი (23): 1924, 26, 49, 50, 53, 61, 62, 63, 69, 70, 76, 78, 79, 80, 81, 84, 85, 86, 91, 92, 93, 2003, 2006
ქვეყნის თასის მფლობელი (26): 1921, 24, 25, 26, 33, 35, 36, 48, 49, 60, 62, 63, 67, 71, 74, 77, 80, 82, 86, 90, 92, 94, 2003, 2005, 2006, 2007
ქვეყნის სუპერთასის მფლობელი (6): 1990, 91, 92, 93, 2003, 2004
მიტროპას თასის მფლობელი (2): 1933, 36
თასების მფლობელთა თასების ფინალისტი (1): 1978
ჩემპიონთა თასზე:
63 თამაში; 22 მოგება, 13 ფრე, 28 წაგება; ბურთები 90:07
თასების მფლობელთა თასზე:
39 თამაში; 10 მოგება, 15 ფრე, 14 წაგება; ბურთები 41:54
უეფას თასზე:
64 თამაში; 23 მოგება, 17 ფრე, 24 წაგება; ბურთები 92:83
ინტერტოტოს თასზე:
20 თამაში, 4 მოგება, 4 ფრე, 12 წაგება; ბურთები 27:34




# მე მიტროპელი ვიყავი ომამდე

**მათიას სინდელარი** — მისი სახელი ლეგენდად შემორჩა ავსტრიას. ის იყო ავსტრიის 30-იანი წლების „ვუნდერ ტიმად" წოდებული საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი და როცა გერმანიამ ავსტრია დაიპყრო, მან და რამდენიმე მისმა თანაგუნდელმა დამპყრობელთა ნაკრებში თამაში იუარეს. ცნობილია, რომ სინდელარი განსაკუთრებით უძალიანდებოდა გერმანელებს. ის მალე დაიღუპა — დღემდე არ იციან, მოკლეს თუ თავი მოიკლა. რაც უნდა იყოს, კაცი, რომელიც გერმანიას არ ცნობდა და მათი გამწარებითაა ცნობილი, ავსტრიისთვის უკვე ლეგენდაა.

რა შუაშია აქ მათიას სინდელარი და, ის ვენის „აუსტრიას" ლიდერი გახლდათ, ავსტრიული ფეხბურთის „ოქროს ხანაში", ომამდელ, 30-იან წლებში ამ კლუბმა ორჯერ ალმართა „მიტროპას თასი". „აუსტრიას" ვებგვერდზე ცალკე განყოფილებაა სინდელარზე, მის ცხოვრებაზე...

მოკლედ, მდიდარი ისტორიის მქონე მეტოქე ჰყავს „ვიტ ჯორჯიას" უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე — კლუბი, რომელსაც თავის ქვეყანაში 50-ზე მეტი ტიტული მოუგია და თასების თასის ფინალშიც გასულა, სადაც რომ რესენბრინკის მრისხანე „ანდერლეხტთან" 0:4 წააგო. ეს 1978 წელს მოხდა.

ვენის „აუსტრიაში" სხვადასხვა დროს ტონი პოლსტერს, არმინას ნარბეკოვასს, ივიცა ვასტიჩს, ტიბორ ნილაშს და ჯალმინიასაც უთამაშიათ.

ომამდელი წლები ვახსენეთ და მის შემდეგაც „აუსტრიას" ქვეყნის ფარგლებში ხანგრძლივი ჩავარდნა არასოდეს ჰქონია. სასწაული უნდა მომხდარიყო, ევროთასებს ამ კლუბის გარეშე ჩაევლო, თუმც უმეტესად მეოთხედფინალ-მერვედფინალში ამთავრებდა ხოლმე საქმეს.

ისტორია კარგია, მაგრამ ჩვენც და „ვიტ ჯორჯიასაც" „აუსტრიას" აწმყო უფრო გვაინტერესებს. შარშანწინ ამ გუნდმა ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე „ბენფიკასთან" წააგო (1:1, 0:3), შარშან კი უეფას თასზე „ვოლერენგა" და „იაბლონეცი" გააგდო, რითაც ჯგუფურ ეტაპზე გავიდა, იქ კი მხოლოდ „გალათასარაის" გაუბედა ფრე, „ბორდოსთან", „ჰელსინგბორგთან" და „პანიონიოსთან" კი დამარცხდა.

„აუსტრიამ" 2007-08 წლების ბუნდესლიგა მესამე ადგილზე დაასრულა და 11 ქულით ჩამორჩა ჩემპიონ „რაპიდს". სეზონის დასრულებისთანავე გუნდი დატოვა ბომბარდირმა სენალ კულიჩმა, შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა და პლუს, ახალი მწვრთნელი მივიდა — 55 წლის კარლ დაქსბახერი, ვისაც ჯერ კიდევ 18 წლის ასაკში ჰქონდა ნათამაშევი ავსტრიის ნაკრებში (თუმც სულ 6 მატჩი ჩაატარა), მწვრთნელობა კი ქვეყნის სუსტ გუნდებში დაიწყო, მერე სამი წელი „აუსტრიას" ახალგაზრდულ გუნდს თავკაცობდა, ბოლო ორი სეზონი კი „ლინცერის" დამრიგებელი გახლდათ.

ჰო, არაფერი გვითქვამს, რა ეტაპი გაიარა „აუსტრიამ" „ვიტ ჯორჯიამდე": მათ ყაზახურ „ტობოლთან" სტუმრად 0:1 წაგებული შინ 2:0-ით ამოქაჩეს. დაქსბახერმა ასეთი შემადგენლობა ათამაშა:

*შაფარი — შტანდვესტი, ბაკი, შიმერი, მაისტოროვიჩი — კრამერი, ჰატენბერგერი, აჩიმოვიჩი, სუნიჩი (მადლი 69), ბაზინა, ოკოტი (ტოპიჩი 81).*

გოლები ცნობილმა სლოვენიელმა მილენკო აჩიმოვიჩმა (პენალტით) და თომას კრამერმა შეაგდეს.

როგორც წესი, ავსტრიის ბუნდესლიგა ივლისის შუაში იწყება და აკი, ოთხმა ტურმაც განვლო, რომელშიც „აუსტრიას" ორი მოგება და ორი ფრე აქვს.

ვიტელთა მეტოქეს ავსტრიის ნაკრების მხოლოდ ერთი ფეხბურთელი ჰყავს — მარჯვენა მცველი იოახიმ შტანდფესტი, რომელმაც ევრო-2008-ზეც ითამაშა.

„ვალსების ქალაქის" გუნდის ყველაზე სახელიანი ფეხბურთელი კი უკვე ნახსენები აჩიმოვიჩია, რომელიც სლოვენიის ნაკრებში ზლატკო ზაჰოვიჩის შემდეგ პირველი კაცი გახლდათ. აჩიმოვიჩი და ვენის „რაპიდიდან" წლეულს ნაყიდი ხორვატი ფორვარდი მარიო ბაზინა „ვიტ ჯორჯიასთვის" ყველაზე სახიფათონი არიან. ბაზინას უკვე აქვს ქართული კლუბების აწიოკების გამოცდილება — გეხსომებათ შარშანდელი „რაპიდი" — „დინამოს" თამაშები.

„აუსტრიას" დაცვა ცოტა ასაკოვანია: გამორჩეული კი პოლონელი იაცეკ ბაკია, რომელსაც თავის დროზე „ლიონშიც" უთამაშია და პოლონეთის ნაკრებს კაპიტნობს. ფანების ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელი კი ჩინელი ნახევარმცველი ჟიანგ სუნი გახლავთ, ვინაც ვენაში ჩასვლამდე ექვსი თვე ჰოლანდიურ პსვ-ში ირიცხებოდა. დაქსბახერის გუნდშია ფრანგი ჟოსელინ ბლანშარიც — ერთ დროს ის „იუვენტუსში" გახლდათ, თუმც იქ კარიერა ვერ აიწყო და ახლა, სიბერისას ვერც „აუსტრიას" ძირითადს ეკარება.

ასეთია ვიტელთა მეტოქე, რომელსაც 14 აგვისტოს თბილისის „მიხეილ მესხზე" ვნახავთ.

**ილია ნანოგაშვილი**


კარლ დაქსბახერი


მილენკო აჩიმოვიჩი

*გუშინვე, წილისყრევს „აუსტრიას" მწვრთნელმა **კარლ დაქსბახერმა** და ფინანსურმა დირექტორმა **მარკუს კრაიჩმეკმა** გააკეთეს კომენტარი...*

*დაქსბახერი: „ყველა მეტოქეს ვაფასებ. სერიოზულად მივუდექით „ტობოლს" და მით უმეტეს, პატივი უნდა ვცეთ „ვიტ ჯორჯიას", რადგან მეორე ეტაპზეა და თან, სლოვაკეთის გუნდი გამოთიშა".*

*კრაიჩმეკი: „წილისყრით ძალიან კმაყოფილი ვარ. „ვიტ ჯორჯიას" ხომ ყველაზე დაბალი კოეფიციენტი ჰქონდა იმ გუნდებს შორის, რომლებიც შეიძლებოდა, შეგვხვედრებოდა".*

### მეკარეები

1. საბოლშ შაფარი (უნგრეთი)
13. მარკუს ბოკსკორი
21. რობერტ ალმერი
34. ჰაინც ლინდნერი

### მცველები

2. ალექსანდრე დრაგოვიჩი
3. სუნ ჟიანგი (ჩინეთი)
4. ფერნანდო ტროიანსკი (არგენტინა)
5. მარიო მაისტოროვიჩი
6. იაცეკ ბაკი (პოლონეთი)
24. ფრანც შაიმერი
25. მიხაელ მადლი
29. მარკუს სუტნერი
31. იოახიმ სტანდფესტი
32. კრისტიან ჰასელბერგერი
33. კრისტიან რამსებნერი
35. მარინ ლეოვაცი (სლოვაკეთი)

### ნახევარმცველები

7. დიორ კორსოში (უნგრეთი)
8. მატიას ჰატენბერგერი
10. ემინ სულიმანი
15. ჟოსელინ ბლანშარი (საფრანგეთი)
18. ფლორიან მეტცი
20. ელდარ ტოპიჩი
22. მარიო ბაზინა (ხორვატია)
26. ფილიპ ნეტცერი
27. თომას კრამერი
30. მილენკო აჩიმოვიჩი (სლოვენია)
36. კრისტოფ ფრიტაგი

### თავდამსხმელები

11. ლუკაშ მონსერი
14. დავით ლაფატა (ჩეხეთი)
16. მარკ სანდი
19. რუბინ ოკოტი
37. დარიო ტადიჩი

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩები

www.pfl.ge

# ახალი ამერის პირველი სათასო




ბადრი კოიოლაძის ფოტო

თბილისი. 1 აგვისტო. 17.45 საათი. ამერი

### ამერი 2:1 კახეთი

1:0 ხელაძე (48), 1:1 ტეტიაშვილი (67), 2:1 ჩიმაკაძე (73)

| | |
|---|---|
| **ამერი:** ლ. ნადირაშვილი, გვაძაბია, ხატიაშვილი, დ. მჭედლიშვილი, ელბაქიძე, ბენდელიანი (გრძელიძე 46), ცხოვრებაშვილი, ხელაძე (სანიკიძე 71), ხუციძე, კაკაბაძე (ჯელაძე 73), ჩიმაკაძე. სათადარიგონი: გვენცაძე, ჩოხელი, კუჭუხიძე, ბოჯგუა. **მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე | **კახეთი:** ქუფარაშვილი, ქამხაძე (შიუკაშვილი 75), ო. აბდულაევი, მურველაშვილი, ლ. აბდულაევი, გენგაშვილი (აბშილავა 84), იმერლიშვილი (ხუციშვილი 73), მელიქიშვილი, ბიძინაშვილი, ტეტიაშვილი, კობაიძე. სათადარიგონი: ახალბედაშვილი, ტარუღაშვილი. **მწვრთნელი:** გივი კობაიძე |

**გაფრთხილება:** მელიქიშვილი (24), მჭედლიშვილი (30), იმერლიშვილი (56), ქამხაძე (72), გვაძაბია (75), ჯელაძე (90)

**მსაჯები:** ი. ურუშაძე, კ. ტეფნაძე, ზ. ბერულავა, ჯ. ხორავა

**დამკვირვებელი:** მ. ჭელიძე

**კოტე კეკელია**

**გუშინ** გლდანში, „ამერის“ სტადიონზე მისულმა სამასამდე მაყურებელმა ახალი „ამერის“ პირველი ოფიციალური მატჩი ნახა.

აქ დაწვრილებით აღარ მოვყვებით იმ ამბებს, რაც საქართველოს თასის ორგზის მფლობელს ბოლო ერთ თვეში გადახდა. მოკლედ ვთქვათ: „ამერში“ დღეს ვეტერანები 20 წლის გიორგი ელბაქიძე, ზურაბ გვაძაბია, ბესიკ ჩიმაკაძე, დავით მჭედლიშვილი, რატი წინამძღვრიშვილი არიან... ძველი კაპიტნის გიორგი დავითნიძის წასვლის მერე კი სამკლავური მეკარე ლადო ნადირაშვილმა გაიკეთა, ვინაც დღეისთვის გუნდში ყველაზე უფროსია — არადა, ლადო 24 წლისაა.

ერთი სიტყვით, გუშინ გლდანში ახალი „ამერი“ ვნახეთ. „ვეტერანების“ გვერდით კი 17-18 წლის ბიჭებმა ითამაშეს...

ადრე „ამერის“ წინააღმდეგ „კახეთს“ უპირობო აუტსაიდერად მივიჩნევდით, მაგრამ ჩამოთვლილ მიზეზთა გამო, საფიქრებელი იყო, თელაველები ახალგაზრდა ამერელების დაჯაბნას უფრო გულმოდგინედ შეეცდებოდნენ.

ასე არ მომხდარა: მატჩმა მეტწილად სტუმართა ნახევარზე ჩაიარა, თუმცა ისიც ვთქვათ, რომ რამოდენიმე კახური იერიში გვარიანად სახიფათო იყო და ორ ეპიზოდში თელაველებმა მზერა მსაჯსაც მიაპყრეს, ეგებ პენალტი დანიშნოსო.

„ამერის“ კარში არა, მაგრამ საპირისპირო მხარეს არბიტრმა მართლაც დანიშნა თერთმეტმეტრიანი — ნიკოლოზ ქამხაძემ მურთაზ კაკაბაძე წააქცია, პენალტი კი ბესიკ ჩიმაკაძემ გაიტანა. ჩიმაკაძის ეს გოლი „ამერის“ გამარჯვებისა გამოდგა.

ამ ეპიზოდში პენალტი ისე აშკარა არ იყო, როგორც ერთ სხვა ეპიზოდში, როცა უკვე ჩიმაკაძე წაიქცა თელაველთა საჯარიმოში.

ანგარიში კი გიორგი ხელაძემ გახსნა: კაკაბაძის ჩაწოდებულ ჯარიმას ჩიმაკაძემ თავი შეაგება და ხარიხას გაარტყა, გადმოვარდნილ ბურთს კი ხელაძემ თავურითვე მიუჩინა ადგილი ბადეში.

საპასუხო გოლი კი შესაძლოა თავად კახელებს ჩაეშალათ. საქმე ის არის, რომ ლუკა ტეტიაშვილის საგოლე დარტყმამდე თავად თელაველები ითხოვდნენ ბურთის გადაგდებას, რაკი მათი თანაგუნდელი გიგა მელიქიშვილი წაიქცა და საექიმო გახდა. მსაჯმა თამაში არ შეაჩერა და...

საერთოდ კი, ექიმები მოედნის ხშირი სტუმრები იყვნენ. რაც თამაშის ტემპს, რომელიც ისედაც დაბალი იყო, კიდევ უფრო ანელებდა.

თბილისი. 1 აგვისტო. 18 საათი. მიხეილ მესხი

### ლოკომოტივი 8:0 დუშეთი

1:0 დ. ჩაგელიშვილი (4), 2:0 ალექსიძე (45), 3:0 კახელიშვილი (47პ), 4:0 დ. ჩაგელიშვილი (60), 5:0 ფარულავა (61), 6:0 დ. ჩაგელიშვილი (78), 7:0, 8:0 ალექსიძე (85, 89)

| | |
|---|---|
| **ლოკომოტივი:** ბათიაშვილი, ქუხილავა, ფარულავა, ს. მიქაძე, დ. ფოფხაძე (ლ. ჩაგელიშვილი 64), სარალიძე (ბარბაქაძე 46), ზ. ჩხეტიანი (ბუდაღაშვილი 62), ჩირიკაშვილი, კახელიშვილი, ალექსიძე, დ. ჩაგელიშვილი. სათადარიგონი: ბოჭორაშვილი; ქურდაძე, კობიაშვილი, ბახტაძე. **მწვრთნელი:** გიორგი კიკნაძე | **დუშეთი:** ბალაშვილი, გოგოლაური, ბრომელი, წიკლაური (ხოსრაშვილი 38), არაბული, მეზვრიშვილი (ძიძიშვილი 46), დემეტრაშვილი, ცოლიკაური, ჯარმელაშვილი, გოგრიშვილი, ბუზაშვილი. სათადარიგო: კაველაძე. **მწვრთნელი:** შიოლა შიოლაშვილი |

**გაფრთხილება:** მეზვრიშვილი (42), გოგრაშვილი (45)

**მსაჯები:** თ. გვანცელაძე; ზ. მენთეშაშვილი, ზ. ფიფია; ლ. ფანიაშვილი

**დირექტორი:** ნ. კაკულია; **დამკვირვებელი:** ა. შალამბერიძე

# კი მაგრამ, რა აზრი აქვს?!

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

**ასეთი** ანგარიშით რომ მატჩი მორჩება, წესით, გულშემატკივარმა უნდა იმხიარულოს, თუმც „მიხეილ მესხზე“ უფრო დამაფიქრებელი სიტუაცია იყო — ასეთი სხვაობა უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებს შორის მარტო ყველასთვის კარგად ნაცნობ ოთარ მამასახლისს თუ ამხიარულებდა და მოძველებული იუმორით „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებს აგულიანებდა.

ვაკელებს კიდევ შეგულიანება უნდოდათ?! მათ მეკარე ზურაბ ბათიაშვილს თანაგუნდელები თუ დაუგორებდნენ ბურთს, ისე არავინ აწუხებდა. ის კი არა, უსაქმოდ მყოფი მოედნის ცენტრამდე ისე ადიოდა, თითქოს ვაკის პარკში სეირნობსო. დუშელთა მეკარე ბალაშვილი კი ყოველი სახიფათო სტანდარტულზე პირჯვარს იწერდა, ემანდ გოლი არ გამივიდესო. რამდენჯერმე კი იხსნა კარი, მაგრამ 8-ჯერ არ გაუმართლა.

„ლოკომოტივმა“ 8 კი გაიტანა, მაგრამ ორი ამდენი გაანიავა (...) მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინა, (...) ეთ ანგარიშს დააფიქსირებდა, საქართველოს ჩემპიონატსა თუ თასს ჯერ რომ არ ახსოვს.

ყველა გოლის და მომენტის აღსაწერად არც დრო გვეყოფა და არც მელან-ფურცელი. გეტყვით, რომ დუშელთა რბევა მე-4 წუთზე დავით ჩაგელიშვილმა დაიწყო, რომელმაც ჰეთ თრიქი შეასრულა. მას არც რატი ალექსიძე ჩამორჩა. თითო გოლი გიორგი კახელიშვილმა და თემურ ფარულავამ გაიტანე(ს).

გოლები კი, როგორი გინდა, (...)ლო და გულო.

გატანა ამათ კიდევ რამდენჯერ მართებდათ. მათ გარდა ჩირიკ(აშვ)ილს, ქუხილავასა და ბარბაქაძე(ს) აც უნდა ეხეირათ. სოსო მიქაძ(ემ) კი გაიტანა, მაგრამ არ ჩაუთვა(ლ)ეს.

თამაშის ყველაზე ლამაზი მო(მე)ნტი ალექსიძის ეფექტური მაკ(რა)ტელა იყო. სამწუხაროდ, ი(ს) და(რ)ტყმა გოლით არ დასრულდა.

ოთხ დღეში საპასუხო მა(ტჩია), მაგრამ აზრი?

## ახალდაბადებულნი

**ნუკრი ლოლაძე ჭიათურიდან**

**ახლახან** ჭიათურასა და ქუთაისში ახალი გუნდები დაიბადნენ და ეს იმერული დაპირისპირება ამით იყო საინტერესო, მაგრამ თამაში დიდი ვერაფერი სანახავი გამოდგა.

გუნდებმა პირველ ნახევარში თითო მომენტი შექმნეს, ისე კი, უკეთ ჭიათურელები გამოიყურებოდნენ, თუმცა პირველი საგოლე შანსი ქუთათურებს მიეცათ — მუშკუდიანმა ძელი შეაზანზარა. ტაიმის მიწურულს დავით სევასტოპულოს პასით ზაურ ხაჭიპერაძეს შეეძლო ეხეირა, მაგრამ სიზუსტემ უმტყუნა.

მეორე ნახევარში ქუთაისელები კონტრშეტევაზე თამაშობდნენ, მასპინძლები კი შეტევას ცდილობდნენ, თუმცა ძალიან უფხოდ. 75-ე წუთზე კი ქუთაისელებმა გაიხარეს — გიორგი ხაჩიძის კარგი გადაცემის შემდეგ ბექა ჩხეტიანი დარჩა მეკარესთან პირისპირ და თავისიანები დააწინაურა — 0:1.

მასპინძლებს რაღა დარჩენოდათ, მთელი გუნდით შეტევაში გადავიდნენ და მსაჯის დამატებულ წუთზე საწადელს მიაღწიეს კიდეც. გიორგი სეფერთელაძის ნაკუთხურალს ნიკა გაფრინდაშვილმა მიაყოლა საგოლე თავური და ჭიათურლებს მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი შეუნარჩუნა.

ჭიათურა. 1 აგვისტო. 17.45 საათი. თემურ მაღრაძე. 200 მაყურებელი

### ჭიათურა 1:1 ტორპედო 2008

0:1 ჩხეტიანი (75), 1:1 გაფრინდაშვილი (90)

| | |
|---|---|
| **ჭიათურა:** ბადურაშვილი, კევლიშვილი, ბრეგვაძე, გაფრინდაშვილი, ლ. ცუცქირიძე (გოგბერაშვილი 81), გ. ილურიძე, სეფერთელაძე, ძაგანია, გ. ტყემალაძე, სევასტოპულო, ხაჭიპერაძე. სათადარიგონი: ზ. დარჯანია, თემურ მიშველაძე, თემირი მიშველაძე, ჯაჯანიძე, ნ. ტყემალაძე, ვაშაძე. **მწვრთნელი:** გიგლა იმნაძე | **ტორპედო 2008:** კუჭუხიძე, გ. გურული, წიქორიძე, ბიბილაშვილი, ჭანკვეტაძე, ბ. ჩხეტიანი, დანელია, გურეშიძე (ქობალია 46) გ. ხაჩიძე, ე. მუშკუდიანი (გოდერიძე 68), იჩქითი (დონაძე46). სათადარიგონი: ო. მიგინეიშვილი, ი. დარსაძე, ძოძუაშვილი, მაჩაიძე. **მწვრთნელი:** კახა კარანაძე |

**გაფრთხილება:** ილურიძე (36), დანელია (48), გოდერიძე (80)

**მსაჯები:** ო. ხეცაძე, ბ. ჭიჭინაძე, ლ. თოდრია, დ. სანოძე

**დირექტორი:** ბ. მჭედლიშვილი; **დამკვირვებელი:** ო. გუნთაძე

### დასავლეთი

1 აგვისტო. 18 საათი

**მგლები 1:5 ბაია**

**ბორჯომი 0:1 სამტრედია**

**სპარტაკი 5:0 ოზურგეთი**

**მეშახტე 1:4 გურია**

**მერანი (მ) 4:0 ხობი**

2 აგვისტო. 18 საათი

**მესხეთი — კოლხეთი**

### აღმოსავლეთი

1 აგვისტო. 18 საათი

**ოლიმპი 5:0 ჰერეთი**

**სიონი 4:0 ნორჩი დინამოელი**

**მერანი (თბ) 1:0 ჩიხურა**

2 აგვისტო. 18 საათი

**გაგრა — თბილისი**



ჩემპიონთა ლიგა 2008-2009
III საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

დინამო (თბილისი) ან პანათინაიკოსი — სპარტა ან შერიფი
რაპიდი ან ანორთოსისი — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
გიმარაეში (პორტუგალია) — ბაზელი ან გიოტებორგი
შახტარი (უკრაინა) — დინამო (ზაგრები) ან დომჟალე
შალკე (გერმანია) — ატლეტიკო (ესპანეთი)
მოდრიცა ან ოლბორგი — კაუნასი ან რეინჯერსი
ბარსელონა (ესპანეთი) — ვისლა ან ბეითარი
ლევსკი (ბულგარეთი) — ბატე ან ანდერლეხტი
სტანდარდი (ბელგია) — ლივერპული (ინგლისი)
პარტიზანი ან ინტერი (ბაქო) — მტკ ან ფენერბაჰჩე
ტვენტე (ჰოლანდია) — არსენალი (ინგლისი)
სპარტაკი (რუსეთი) — დინამო (კიევი) ან დროჰედა
იუვენტუსი (იტალია) — არტმედია ან ტამპერე
ვენტსპილსი ან ბრანი — მარსელი (საფრანგეთი)
ფიორენტინა (იტალია) — სლავია (ჩეხეთი)
გალათასარაი (თურქეთი) — სტიაუა (რუმინეთი)

*I მატჩები გაიმართება 12-13 აგვისტოს,*
*საპასუხოები — 26-27 აგვისტოს*

უეფას თასი 2008-2009
II საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

ვიტ ჯორჯია (საქართველო) — აუსტრია (ავსტრია)
შიროკი ბრიაგი (ბოსნია) — ბეშიქთაში (თურქეთი)
ბრაგა (პორტუგალია) — ზრინსკი (ბოსნია)
ლოკომოტივი (ბულგარეთი) — ბორაცი (სერბეთი)
ვოივოდინა (სერბეთი) — ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი)
არისი (საბერძნეთი) — სლავენი (ხორვატია)
ლიტექსი (ბულგარეთი) — ჰაპოელი (კირიათ შმონა, ისრაელი)
დეპორტივო (ესპანეთი) — ჰაიდუკი (ხორვატია)
აპოელი (კვიპროსი) — ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)
ვლაზნია (ალბანეთი) — ნაპოლი (იტალია)
მაკაბი (ნეთანია, ისრაელი) — ჩერნო მორე (ბულგარეთი)
ომონია (კვიპროსი) — აეკ (საბერძნეთი)
მეტალურგსი (ლატვია) — ვასლუი (რუმინეთი)
ციურიხი (შვეიცარია) — შტურმი (ავსტრია)
შტუტგარტი (გერმანია) — დიორ ეტო (უნგრეთი)
ლეხი (პოლონეთი) — გრასჰოპერი (შვეიცარია)
ლიბერეცი (ჩეხეთი) — ჟილინა (სლოვაკეთი)
იანგ ბოისი (შვეიცარია) — დებრეცენი (უნგრეთი)
ლეგია (პოლონეთი) — მოსკვა (რუსეთი)
დნიპრო (უკრაინა) — ბელინცონა (შვეიცარია)
ლიუბლიანა (სლოვენია) — ჰერტა (გერმანია)
სუდუვა (ლიტვა) — ზალცბურგი (ავსტრია)
იურგორდენი (შვედეთი) — რუსენბორგი (ნორვეგია)
ქუინი (შოტლანდია) — ნორდსიელანდი (დანია)
გენტი (ბელგია) — კალმარი (შვედეთი)
მანჩესტერ სიტი (ინგლისი) — მიდტიულანდი (დანია)
ჰონკა (ფინეთი) — ვიკინგი (ნორვეგია)
ჰაკა (ფინეთი) — ბრონდბიუ (დანია)
სტაბეკი (ნორვეგია) — რენი (საფრანგეთი)
კოპენჰაგენი (დანია) — ლილესტრიომი (ნორვეგია)
ელფსბორგი (შვედეთი) — სენტ პატრიკსი (ირლანდია)
ასტონ ვილა (ინგლისი) — ჰაფნარფიორდური (ისლანდია)

*I მატჩები გაიმართება 14 აგვისტოს,*
*საპასუხოები — 28 აგვისტოს*

# ძანეტი სამუდამოდ ინტერელია

**მილანის** „ინტერის“ კაპიტანი ხავიერ ძანეტი კარიერას „ნერაძურიში“ დაასრულებს. მხარეებმა კონტრაქტი 2011 წლის ივნისამდე გაახანგრძლივეს. შეთანხმებით მილანური კლუბის ხელმძღანელობაც კმაყოფილი და გახარებული დარჩა და თავად არგენტინელი ნახევარმცველიც.

ძანეტი, რომელიც 10 აგვისტოს 35 წლის ხდება, „ინტერში“ 1995 წლიდან თამაშობს და ნელ-ნელა იქცა გუნდის სიმბოლოდ. „ნერაძურის“ მაისურით სერია A-ში მას 427 მატჩი აქვს გამართული, იტალიის თასზე 55, ხოლო ევროთასებზე — 111.

აქედან გამომდინარე, ძანეტის „ბარსელონაში“, „რეალში“ ან „იუვენტუსში“ შესაძლო გადასვლის თაობაზე გავრცელებული ცნობები, უსაფუძვლო ჭორები გამოდგა.

დაცვაში არსებული კრიზისის გამო „ინტერს“ ალბათ მაინც მოუწევს კიდევ ერთი მცველის დამატება და ამჟამად, მთავარი კანდიდატი მატეო ფერარია, რომელიც „რომასთან“ კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ თავისუფალი აგენტია. ამბობენ, „ნერაძური“ 28 წლის ფეხბურთელს სამწლიან კონტრაქტს შეთავაზებს და დაახლოებით 2,5 მილიონ ევროს გადაუხდისო.

„უკვე შევხვდით „ინტერს“ და შეხვედრა კიდევ იქნება. სხვას ახლა ვერაფერს გეტყვით“ — თქვა ფერარის აგენტმა ჯანი კორჩიმ.

კიდევ ერთი კანდიდატი ბუქარესტის „სტიაუას“ 27 წლის ფეხბურთელი მირელ რადოია. რუმინელს ინტერელი თანამემაულის, კრისტიან კივუს დარად, დაცვის ცენტრშიც შეუძლია თამაში, ფლანგზეც და ნახევარდაცვაშიც.

მილანელებს თითქოს დაცვაში პრობლემები არ ეყოფოდათ და ახლა პატრიკ ვიეირაც სერიოზულად დაშავდა. ჯერ ზუსტად უცნობია, რამდენ ხანს გამოტოვებს ვეტერანი ფრანგი ნახევარმცველი, მაგრამ ალბათ, არცთუ მცირე დროით მოუწევს უქმობა. შეგახსენებთ, რომ წინა სეზონში მას დიდი დრო სწორედ ტრავმების გამო გაუცდა.

„უიღბლო პერიოდი მაქვს და დამწუხრებული ვარ, მაგრამ არ დავნებდები, განწყობა ოპტიმისტურია. ყველაფერს გავაკეთებ, რათა სეზონის დაწყებამდე მომჯობინება მოვასწრო. ამ ტრავმამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ არა უშავს, ამ ცუდ პერიოდს გადავლახავ და ვითარება გამოსწორდება. „ინტერთან“ ერთად კიდევ ბევრი ტიტულის მოგება მინდა“ — განაცხადა ვიეირამ.

**კოკი კანდელაკი**

# ამაური: იუვე ჩემი ოცნებაა

ტურინის „იუვენტუსის“ ახალწვეულმა კარვალიო ამაურიმ „კორიერე დელო სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ტურინულ გუნდში ადაპტაციაზე, ახალ პარტნიორებთან ურთიერთობაზე და ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპისთვის სამზადისზე ისაუბრა



— არცთუ დიდი დროა, რაც იუვენტუსელი გახდით, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ამაური გუნდის ვეტერანთაგანი იყოს. რა ხდება?

— ყველაფერი ძალიან მარტივადაა. „იუვენტუსში“ გადასვლა ძლიერ მსურდა. როცა საწადელს მივაღწიე, დამატებითი სტიმული გამიჩნდა. საქმე კარგად მიმდის, მაგრამ კმაყოფილებისგან ჯერჯერობით შორს ვარ. მსურს დავამტკიცო, რომ დიადი კლუბის წევრობას ვიმსახურებ, რაც დამატებით მოტივაციას მიქმნის. გარემო უბრალოდ, განსაცვიფრებელია — გუნდი, თანაკლუბელები, მწვრთნელი, ტიფოზები... ცხოვრების ოცნება ავისრულე და ახლა მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული, შევძლებ თუ არა „იუვენტუსის“ საუკეთესო ფეხბურთელობას.

**— „იუვეში“ ადაპტირება არ გაგჭირვებიათ?**

— როცა ნამდვილი ჩემპიონების გვერდით თამაშობ, ყველაფერს გაცილებით იოლად ითვისებ. მეტიც — „იუვეში“ ადაპტაცია მეტად სასიამოვნო აღმოჩნდა.

**— გატანაც მოასწარით...**

— გოლების გატანა სასიამოვნო ყოველთვისაა, მაგრამ ამას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, რადგან გუნდური სულისკვეთება, საკუთარი ძალების რწმენა და გამარჯვებულის ფსიქოლოგია გაცილებით წონადია.

**— დელ პიეროს, ტრეზეგესა და იაკვინტას მხრიდან კონკურენცია არ გაშინებთ?**

— ვაღიარებ, ასეთ მომენტს კარიერაში პირველად წავაწყდი, მაგრამ ამ კლუბის პირობებს უკვე შევეგუე. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ითამაშებს — მთავარია, „იუვენტუსი“ „იუვენტუსად“ რჩებოდეს. ეს უკვე ავითვისე.

**— ამ ზაფხულს თქვენი ტრანსფერი ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანია, მაგრამ რონალდინიო... მისი ფაქტორი ხომ არ გიჩენთ დისკომფორტს?**

— არა, რონალდინიო არ მაშინებს. ახლა „მილანი“ მართლაც ძლიერია და, მავანთა აზრით, „იუვესაც“ სჯობსო, ამბობენ, მაგრამ ასეთი შეფასებების მცდარობაში დარწმუნებული ვარ და ვაცხადებ, რომ არც „მილანს“ დავუთმობთ რამეს, არც „ინტერს“ და არც „რომას“.

**— რა აკლია „იუვენტუსს“?**

— არც არაფერი, დახვეწალა გვჭირდება. წინასასეზონო შეკრებაზე გაწეული შრომის შედეგს ჯერ ვერ ვგრძნობთ. დღეს უპრიანი სხვა რამაა: თამაშის ცალკეული ასპექტების გაუმჯობესებაზე ფიქრი, ამა თუ იმ კომბინაციის დამუშავება. საუკეთესო ფორმაში შესვლას გუნდი მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებს, ისიც — თანდათანობით.

**— ესე იგი, მიგაჩნიათ, რომ ფორმაში თანდათანობით უნდა შედიოდე? არადა, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი კარს მოგადგათ...**

— პირველი მატჩისთვის მზად ვიქნებით. ამ ეტაპზე ჩვენი ამოცანა ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაა, რადგან „იუვენტუსი“ ჯერჯერობით ჯგუფური ტურნირის მიღმაა. საკვალიფიკაციო ეტაპზე შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს. კი ბატონო, ევროთასები ჩემთვის სიახლეა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის პერსპექტივა ძალზე მიმზიდველია.

**— „ბიანკონერის“ შემადგენლობაში, ალბათ, ტიტულებზე ოცნებობთ...**

— რა თქმა უნდა. აბა, რისთვის მოვედი აქ? დიდი წარმატება ჩემთვის აქამდე უცხო იყო და ვიმედოვნებ, რომ „იუვენტუსის“ შემადგენლობაში საპატიო ჯილდოებს შევწვდები. სულაც არ ვაჭარბებ: ამ სეზონში რამეს მოვიგებთ. ჩემპიონთა ლიგას თუ სკუდეტოს? არ ვიცი.

**— მარჩელო ლიპიმ არაორაზროვნად მიგანიშნათ, რომ დროა, საბოლოოდ ჩამოყალიბდეთ იტალიის ნაკრებთან მიმართებაში. რას უპასუხებდით?**

— ლიპის კარგად მესმის, მაგრამ დღეს ეროვნულ გუნდზე ფიქრის თავი არ მაქვს. ჯერ „იუვეში“ უნდა დავმკვიდრდე, ახალი ემოციებით ვისიამოვნო და ამ დიდებული გუნდის საკვანძო მოთამაშედ ვიქცე. მოგვიანებით კი, იტალიის ნაკრებზეც ვისაუბრებთ და კიდევ უამრავ სხვა საკითხზეც.

**— „იუვენტუსს“ დავუბრუნდეთ. ვისთან გირჩევნიათ პარტნიორობა თავდასხმაში?**

— ჯერჯერობით ყველაზე შეხმატკბილებულად იაკვინტასთან მითამაშია, რადგან ვინჩენცოს სიღრმიდან თამაში სჩვევია. ერთმანეთს მალე გავუგეთ და პარტნიორობისგან სიამოვნებაც მივიღეთ. ამასთან, დავიდ ტრეზეგესთან წყვილშიც წამივიდა თამაში. დელ პიეროზე კი რა გითხრათ... ალექსი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და მის გვერდით თამაში საპატიოსთან ერთად სასიამოვნოცაა.

# შვეიცარიით ამაყი გერმანელი



**შვეიცარიის ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი პირველად ეწვია ციურიხში ფიფას სახლს და პრეზიდენტ ზეპ ბლატერსაც შეხვდა. გერმანელი სპეციალისტი ბლატერის პროექტის, „6+5"-ს მომხრეა.**

**fifa.com-თან ინტერვიუში მან „ბაიერნზე" და 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ისაუბრა**

**— ფიფას სახლში რამ მოგიყვანათ?**

— გამიმართლა, რომ აქ მოსვლა შევძელი და პრეზიდენტ ზეპ ბლატერთან შეხვედრის პატივი მხვდა წილად. ეს ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა გახლდათ, საკუთარი მოსაზრებები ერთმანეთს გავუზიარეთ. მას დიდი ხანია ვიცნობ და ხშირად შევხვედრილვარ, მაგრამ ეს განსაკუთრებული შემთხვევა იყო, დისკუსიისა და საინტერესო თემებზე საუბრის საშუალება მშვიდ გარემოში მოგვეცა.

**— რას ფიქრობთ დაგეგმილ „6+5"-ზე?**

— ამ იდეას ყველანაირად ვემხრობი. მრავალი წელია ვხედავთ, რომ საქმე ცუდი მიმართულებით მიდის. ყველა ჩემპიონატში ძალიან ბევრი ლეგიონერია და ადგილობრივ ახალგაზრდებს ნორმალურად განვითარების საშუალება არ ეძლევათ. გარდა ამისა, ძალიან დიდი, ზედმეტი ფული იხარჯება ტრანსფერებში. ამ თანხის ჩადება ახალგაზრდულ სისტემაში აჯობებდა. ყოველთვის მომხრე ვიყავი ნებისმიერ ლიგაში, რაც შეიძლება, მეტი ადგილობრივი ფეხბურთელის თამაშისა.

**— ზოგიერთ ქვეყანაში ახალი სეზონი უკვე დაიწყო. საკლუბო მწვრთნელობა ხომ არ გენატრებათ?**

— სულაც არა. როცა შვეიცარიაში, ცოტა ხნის წინ, სეზონი დაიწყო და ვნახე, თუ როგორ განსხვავებულად მუშაობენ აქ მწვრთნელები, ემოციებმა ოდნავ ამაფორიაქეს, მაგრამ მალევე ყველაფერში გავერკვიე და ვითარებას შევეგუე. ახლა ოდნავ ვნერვიულობ, რადგან შვეიცარიის ნაკრებში ჩემი პირველი მატჩი სამ კვირაზე მცირე დროშია.

**— რა გეგმები გაქვთ და როგორ უყურებთ თქვენს მომავალს ამ პოსტზე?**

— გუნდის შენება და სწორი მიმართულებით წაყვანაა საჭირო. დღითიდღე უფრო მომწონს ეს სამუშაო. შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელობა ჩემთვის დიდი გამოწვევაა. ფეხბურთელებს მუდამ უნდა აკვირდებოდე და მათთან კონტაქტი გქონდეს. ფედერაციასთან მუშაობა და ხელმძღვანელობისთვის ახალი იდეების მიწოდებაა საჭირო. შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაცია ბწრყინვალედ მუშაობს, მწვრთნელების და ახალგაზრდა მოთამაშეების სიტემაში. ეს სამაგალითო უნდა იყოს დანარჩენი ევროპისთვის. მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარია დიდი ქვეყანა არ არის, ბოლო წლებში ჩინებული მიღწევები აქვს.

**— შვეიცარიის ნაკრები ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელებითაა სავსე...**

— იმის პოტენციალი და კარგი შანსი ნამდვილად არის, რომ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოვხვდეთ, თუ ფეხბურთელები კვლავ ძველებურად შემართულნი იქნებიან და ბოლომდე დაიხარჯებიან. რასაკვირველია, ცოტა ძნელია ისეთი გუნდის სათანადოდ მოტივირება და უმალვე უმაღლეს დონეზე აყვანა, რომელმაც წინა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა და მხოლოდ ამაზე იყო კონცენტრირებული. ახლა საქმე სულ სხვაგვარადაა. სამხრეთ აფრიკის მუნდიალზე მოხვედრა თუ გვინდა, ფეხბურთელებმა უნდა გაიაზრონ, რომ შესარჩევი ეტაპის პირველიდან ბოლო მატჩამდე დიდი ბრძოლა გველის.

**— როგორ აფასებთ მსოფლიოს ჩემპიონატზე შვეიცარიის გასვლა-არგასვლის შანსებს?**

— ვიტყოდი, რომ საკმაოდ სერიოზულ ჯგუფში ვართ და ყველა მეტოქეს სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ. შეიძლება ვინმე სხვანაირად ფიქრობდეს, მაგრამ ადვილი თამაშები არ გვექნება. შესარჩევი ეტაპი ბევრ შრომას მოითხოვს და ცოტა იღბალიც გვჭირდება. ყველა უმაღლესი კლასის მოთამაშე გვჭირდება. ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელის დაკარგვის საშუალება და უფლება არ გვაქვს, თორემ გვარიანი პრობლემები შეგვექმნება. ასეა თუ ისე, განწყობა ოპტიმისტურია. საბერძნეთი და ისრაელი რთული მეტოქეები იქნებიან. მოლდოვასა და ლატვიასაც შეუძლიათ სიურპრიზების შემოთავაზება, ამიტომ, ფრთხილად უნდა ვიყოთ. ყველა ჯგუფში დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობაა და მეტოქის შეუფასებლობის უფლება არავის აქვს.

**— საკლუბო კარიერაში თითქმის ყველაფერი მოიგეთ და ახლა, ნაკრების მწვრთნელის რანგში აპირებთ წარმატების მიღწევას...**

— ახლა, მართლა ძალიან მიხარია, რომ ნაკრების მწვრთნელი ვარ და არა კლუბის, ეს დიდი და საინტერესო გამოწვევაა. ამაყი ვარ, რომ ჩემ ერს წარმოვადგენ, ვუსმენ ნაციონალურ ჰიმნს და ვეცდები სხვა ქვეყნების დამარცხებას. ცხადია, უპირველესი მიზანი 2010 წლის მუნდიალზე გასვლაა და ეს დიდ მოტივაციას მაძლევს, სხვაზე ჯერ არც არაფერზე ვფიქრობ. ყველაფერს გავაკეთებ მიზნის მისაღწევად, ეს დიდი წარმატება იქნება ჩემს კარიერაში.

# ტურამი წავიდა



**ლილიან ტურამმა** საბოლოოდ გადაწყვიტა კარიერის დასრულება. 36 წლის მცველი ნაკრებიდან ევრო 2008-ის მერე წავიდა, მაგრამ საკლუბო დონეზე თამაშის შეწყვეტას არ აპირებდა, სანამ ექიმები მას გულზე პრობლემებს არ აღმოუჩენდნენ.

ტურამი „ბარსელონადან" პსჟ-ში გადადიოდა, როცა პარიზული კლუბის ექიმებმა მას გულის თანდაყოლილი დაავადება აღმოუჩინეს, რაც თავისთავად უცნაურია და აჩენს კითხვას, როგორ ვერ შეამჩნიეს ეს მის წინა კლუბებში.

„კარიერის გაგრძელება ჩემთვის რთული იქნებოდა. სიამოვნებით გადავიდოდი პსჟ-ში, მაგრამ გარისკვა არ მინდა. პარიზული კლუბის პაოლო მალდინი გავხდებოდი და იქ დიდხანს დავრჩებოდი, მაგრამ სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია" — თქვა ტურამმა.

მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველის კარიერა 1991 წელს „მონაკოში" დაიწყო, სადაც მან 5 წელი გაატარა. იგი ამდენივე ხანი თამაშობდა „პარმასა" და „იუვენტუსში". 2006-2008 წლებში კი „ბარსელონაში" ირიცხებოდა. ნაკრებში მას 142 მატჩი აქვს ჩატარებული და და ორი გოლი გატანილი, ეს სწორედ ის ორი უმნიშვნელოვანესი გოლია, რომელიც მან 1998 წლის მუნდიალის ნახევარფინალში ხორვატიას გაუტანა და ფრანგებს 2:1 მოაგებინა.

შეგახსენებთ, რომ ტურამი დიდი ინტელექტითაც გამოირჩევა და ასევე პოლიტიკური აქტიურობითაც. ბევრი მის პოლიტიკაში წასვლასა და ახლო მომავალში გამინისტრებას ელის.

**გიორგი ძაძაგაძე**

## დეზები ბივატერს ყიდულობენ

**პრემიერლიგის** „ტოტენჰემს" ახალი გოლკიპერი ეყოლება — სტივ ბივატერი. ამ ზაფხულს „დეზებმა" ორი მეკარე დაკარგეს მას შემდეგ, რაც პოლ რობინსონი „ბლექბერნში" გადავიდა, ხოლო რადეკ ჩერნიმ ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარი განაცხადა. ბივატერი „უაით ჰართ ლეინზე" ჩემპიონლიგაში დაქვეითებული „დერბი ქაუნთიდან" გადაბარგდება და ჰოლანდიური პსვ-დან ახლახან ნაყიდი ბრაზილიელის, ეურელიო გომესის შემცვლელად მოიაზრება.

## ესპანელი მეკარე ბლექბერნში ვარჯიშობს

**ამ ზაფხულს** „ბლექბერნ როვერსმა" გამოცდილი ამერიკელი მეკარე ბრედ ფრიდელი გაასხვისა, მის ნაცვლად კი „ტოტენჰემიდან" ერთ დროს ინგლისელთა იმედი, პოლ რობინსონი გადაიყვანა. ახლა „როვერსში" უკვე ერთი კვირაა, „ბარსელონას" ახალგაზრდა გოლკიპერი დანი პლანჩერია ვარჯიშობს და თავისი ხელმძღვანელობისგან სხვა გუნდში გადასვლის ნებართვას ელის, რის შემდეგაც ის შესაძლოა, ინგლისურ კლუბს შეუერთდეს.

## ვიდუკა სტარტს გამოტოვებს

**ინგლისური** „ნიუკასლის" ფორვარდი მარკ ვიდუკა, კვლავ ტრავმას იმუშებს, რის გამოც თავის კლუბს სეზონის სტარტზე ვერ დაეხმარება. „კაჭკაჭების" დამრიგებელ კევინ კიგანის თქმით, ავსტრალიელი პრემიერლიგაში დაბრუნებას, მხოლოდ მესამე-მეოთხე ტურიდან შეძლებს. „მარკი მომავალ კვირას უკვე შეძლებს ვარჯიშის განახლებას და თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართება, მაშინ იგი ჩემპიონატის მხოლოდ ორ-სამ მატჩს გააცდენს" — განაცხადა კიგანმა.

## პომპეიმ არმიელები უარყო

**„პორტსმუთმა"** უარყო ხმები იმის შესახებ, რომ გუნდის მწვრთნელი ჰარი რედნაპი მოსკოვის ცსკა-სთან აწარმოებს მოლაპარაკებას. ინგლისელი სპეციალისტი ვალერი გაზაევის სავარაუდო შემცვლელად განიხილებოდა, თუმცა, როგორც „პომპეის" წარმომადგენელმა განაცხადა, რედნაპი ყველაფრით კმაყოფილია და გასული სეზონის ბოლოს მან ახალ კონტრაქტზეც მოაწერა ხელი. აღსანიშნავია, რომ იანვარში რედნაპმა „ნიუკასლის" წინადადება არ მიიღო.

## ვალბუენას რუსეთში არ მოუნდა

**მატიე ვალბუენას** აგენტის თქმით, რამდენიმე დღის წინ მი[...] კლიენტს „ზენიტიდან" წინადადებით მიმართეს, თუმც „მარსელის" მთავარ მწვრთნელ ერიკ გერეტსთან შეხვედრის შემდეგ, ფეხბურთელ[...] საფრანგეთში დარჩენა გადაწყვიტა. აღსანიშნავია, რომ რუსული კლუბის შეთავაზება ფრანგებისთვის საკმაოდ მიმზიდველი აღმოჩნდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვალბუენამ არ ისურვა „ზენიტში" გადასვლა[...]

## ჟიგიჩმა თურქები უარით გაისტუმრა

**„ვალენსიას"** ფორვარდმა ნიკოლა ჟიგიჩმა „გალათასარაი[...]" გადასვლაზე უარი განაცხადა. სერბით პრემიერლიგის „სტოკი" „სანდერლენდიც" გამოთქვამდნენ დაინტერესებას. თურქების შე[...]ზებული პირობები კი ჟიგიჩისთვის მიუღებელი აღმოჩნდა და ა[...] იგი ინიციატივას ინგლისური კლუბებისგან ელის.

## არტეტა ევერტონში რჩება

**ესპანელმა** ნახევარმცველმა მიკელ არტეტამ დაადასტურა, რო[მ] „ევერტონში" დარჩენა სურს: „არაერთხელ მითქვამს, რომ არსად წ[ა]სვლას არ ვაპირებ. დიახ, ესპანეთში დაბრუნება მსურს, ოღონდ კარიერის დასრულებამდე ერთ-ორი წლით ადრე. ამჟამად კი „ევერტონის" დატოვება ჩემს გეგმებში არ შედის და მეამაყება, რომ ამ კლუბის წევრი ვარ". აქვე აღვნიშნოთ, რომ 26 წლის ფეხბურთელის შეძენის მთავარ მსურველად მადრიდის „ატლეტიკო" მოიაზრებოდა.

## იტალიელი მეკარე სტამბოლში

**თურქულმა** „გალათასარაიმ" იტალიელი მეკარე მორგან დე სანქტისი იჯარით აიყვანა. 31 წლის გოლკიპერის ამჟამინდელი კლუბი ესპანური „სევილიაა", რომელშიც გასულ სეზონში იტალიელი პირველი მეკარის, ანდრეს პალოპის დუბლიორად ითვლებოდა. 1999-2007 წლებში დე სანქტისმა „უდინეზეში" 200-მდე მატჩი ჩაატარა, თურქებს კი მისი ერთწლიანი იჯარა თითქმის 40 ათასი გირვანქა დაუჯდათ, თუმცა მათ 2009 წლის ზაფხულში დე სანქტისის გამოსყიდვის უფლება აქვთ.

## მერფიმ გაახანგრძლივა

**„სანდერლენდის"** თავდამსხმელმა დერილ მერფიმ კლუბთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა. „ყველაფერი რიგზეა, ყოველთვის ვიმეორებდი, რომ აქ დარჩენა მსურდა. კლუბში შექმნილი მდგომარეობა სრულიად მაკმაყოფილებს" — აღნიშნა ირლანდიელმა ფეხბურთელმა. გასულ სეზონში მერფიმ პრემიერლიგაში 28 მატჩი ჩაატარა და სამჯერ გამოიჩინა თავი. „შავ კატებთან" მისი ახალი ხელშეკრულება კი ერთწლიანია.

**არჩილ ძოგახიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოტალიზატორი

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი წყვილი შედეგი კოეფ-ტი სისტ

— უეჭველისტების პარტიას ვაფუძნებთ და შემომსვლელი ხაარ? თუ ნაღდად ჰოო, ერთიანების ფრაქციაში ჩაგწერ, თუ გეეჭვება, მაშინ აძინიქსში დაგაზლვევ, ტო...

— სლოგანი გააქვთ, ძმაო?

— იასნია: „მილიონი საკუშაო ადგილი!“

— შემოვიდოდი, მარა უეჭველი თამაშები რო აღარ ჯდება?

— აჩმახებ, ტო! ცვეტში მოდის სერიოზული ერთიანები. ლიჩნად მე „ტროფეო ტიმზე“ მოშნად მოვიგე. აი, „მილანი“, „იუვე“ და კიდე ვიღაც მესამე რო თამაშობს...

— რა გეწერა?

— ანჩელოტის შუა თითი....

— რაა?

— აჩვენებს თუ არა ანჩელოტი „იუვეს“ ბალეშიკებს შუა თითს. დავწერე ჰოო-მეთქი. 100 კუში ჰქონდა და 10 ლარში ათასი ავაგდე.

— ეგეთი ფსონი რომელ ტოტალიზატორს ეწერა?

— შემოდი უეჭველისტებში და გასწავლი.

— საღოლ, ძმაო. აბა მე რაღა მომდის, ვერ გავიგე. სამი კვირაა, პროგრამის საყიდელი ფული არ მომიგია. ერთი, ძმურად, დამაკვირდი, სადმე ფარული კამერა ხო არ მიყენია.

— რა კამერა?

— პროსტაამც, რაღა ვიფიქრო, არ ვიცი. „ანდერლეხტის“ პატიოსანი ერთიანი მეწერა „ბატესთან“ და ორიანი დაჯდა.

უეჭველი ერთიანი არ იყო? ზნაჩიტ, ვიღაცა იყურება ჩემ ბილეთში ჩუმად და რასაც ვმაზავ, იმის პროტივს სვამენ. იმენა მე დამდევენ.

დღეს „ჰამბურგის“ ცვეტში ორიანი მგონია „რეალთან“. კალდერონს ხო რაფაელ ვან დერ ვაარტის ყიდვა უნდა და „რეალი“ უეჭველი დაუწვება, რო „რაფიკა“ დაუთმონ.

— არ დაწერო „ჰამბურგის“ მოგება, ტო!

— რა პონტში? გეეჭვება? მაშინ ის მაინც მითხარი, შუსტერი გაიშვერს შუა თითს თუ „ჰამბურგის“ ტრენერი მარტინ იოლი?

— აუ, ეს ვინაა, ტო! მასტმაა, იმენა ფუტბოლი არ იცის. სად არი ეგ თამაში იცი?

— მადრიდში.

— აი, ხო ხედავ. აზრზე არა ხარ, ტო! — ლონდონშია, „არსენალის“ სტადიონზე და „რეალი“ რა პონტში ჩადის, გითხრა? კრიშტიანუ რონალდუ უნდა მოიტაცონ.

— მაგას რამდენი კუში უწერია?

— მეგობარ გოგოსთან ერთად თუ მოიტაცებენ — 250.

**ქუში ქოშმარია**

ჩემი ბილეთი:
001 ექტორ რაულ კუპერი — ჩვენი ნაკრების მატჩების ჩანაწერები
შედეგი: კუპერს ჭაღარა გაუჭაღარავდება
სავარაუდო მოგება: თმის საღებავი განვადებით

მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, თუ ვინ ჩამოიტანა გუშინ მადრიდიდან თბილისში საიდუმლო წერილი. წერილში კუპერი ფედერაციას უმორჩილესად სთხოვს, ერთი ისეთი მატჩის ჩანაწერი მაინც გაუგზავნონ, რომელშიც საქართველოს ნაკრები ფეხბურთს თამაშობს.

114140 *

# ტრეზეგე რჩება

**„იუვენტუსის“** მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ დავიდ ტრეზეგე არ იყიდება. მიუხედავად იმისა, რომ ფრანგი ფორვარდი მოსამზადებელი პერიოდისას ამაურისა და ვინჩენცო იაკვინტასგან განსხვავებით არადამაჯერებლად გამოიყურება და თან მისი ხელში ჩაგდება კვლავ „ბარსელონას“ სურს.



ტურინელთა თავკაცი კი დარწმუნებულია, რომ შეძლებს ისე მოახერხოს, რომ ამაურიც, იაკვინტაც, ტრეზეგეც და ალესანდრო დელ პიეროც კმაყოფილნი იყვნენ.

„ჩვენ ოთხივე თავდამსხმელის შენარჩუნება გვინდა და ასეც იქნება. ასე რომ, ფანებსა და თავად ფეხბურთელებს შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ. ბევრი გუნდი ვერ დაიკვეხნის ოთხი ასეთი მაღალი კლასის ფორვარდით. ტრეზეგეს ან იაკვინტას გაყიდვა თავში აზრადაც არ მომსვლია“ — თქვა რანიერიმ.

ამასობაში, გრძელდება მითქმა-მოთქმა დეიან სტანკოვიჩის „იუვეში“ შესაძლო გადასვლაზე. იტალიური პრესის ცნობით, გამორიცხული არ არის, სერბი ტიაგუ მენდეშში გაიცვალოს.

პორტუგალიელი ნახევარმცველი „ბიანკონერის“ ვერაფრით რომ ვერ მოერგო, არახალია. „ინტერის“ ახალ მწვრთნელ ჟოზე მაურინიუს კი იგი ძალიან მოსწონს. აი სტანკოვიჩი კი „განსაკუთრებულს“ გულზე არ ეხატება.

„არ მესმის, რატომ არ ეძლევა შანსი და რატომ ვერ თამაშობს ტიაგუ „იუვეში“. იგი ბრწყინვალე ფეხბურთელია, უფრო ძლიერი, ვიდრე ტურინელთა სხვა ცენტრალური ნახევარმცველები — მომო სისოკო და კრისტიანო ძანეტი“ — აღნიშნა მაურინიუმ.

სტანკოვიჩში ტიაგუს გაცვლის შესახებ ცნობებსაც მაურინიუს ეს კომენტარი დაედო საფუძვლად. ამ საკითხზე ჯერ არც ერთ მხარეს არაფერი უთქვამს.

**გიორგი ქაქაბაძე**

## იებმა ფრეი დაიტოვეს

**ფლორენციის** „ფიორენტინას“ მეკარე სებასტიან ფრეი კლუბში კიდევ ორი წლით დარჩება. საფრანგეთის ნაკრების კარის დარაჯს „იებთან“ ახალი ხელშეკრულება 2013 წლამდე აკავშირებს. ფრეი ფლორენციაში 2005 წლიდანაა. იქამდე კი „პარმას“, „ინტერისა“ და „ვერონას“ რიგებშიც გამოდიოდა.

## შარნერი რჩება

**„უიგან ატლეტიკის“** მცველმა პოლ შარნერმა კლუბში დარჩენა საბოლოოდ გადაწყვიტა. ახალი ხელშეკრულება ავსტრიელს ინგლისურ კლუბთან კიდევ ორი წლით დააკავშირებს. „ვგრძნობ, რომ ამ ბოლო თვეებში კლუბი ნამდვილად პროგრესირებს. ვფიქრობ, „უიგანი“ უფრო ამბიციური და კონკურენტუნარიანი გახდა. ამიტომ გადავწყვიტე დარჩენა“ — თქვა შარნერმა, რომელიც გასული ევროპის ჩემპიონატზე იოზეფ ჰიკერსბერგერის ავსტრიის ნაკრების სიაში ვერ მოხვდა.

## ეტოო ვილიას ნაცვლად?

**როგორც** „ვალენსიას“ ვიცე-პრეზიდენტმა ფერნანდო გომეს კეილომერმა განაცხადა, დავიდ ვილიას და სამუელ ეტოოს ერთნაირი სათამაშო სტილი აქვთ. ამიტომ ვილიას სხვა კლუბში გადასვლის შემთხვევაში, მის შემცვლელად უპირველეს ყოვლისა, კამერუნელი განიხილება. შეგახსენებთ, რომ ეტოოს ყიდვის მსურველებში „რეალი“, „მილანი“, „იუვენტუსი“ და „ჩელსიც“ სახელდებოდნენ.

## ლუის გარსია და ბენფიკა

**ლისაბონის** „ბენფიკა“ ბარსელონას „ესპანიოლს“ ლუის გარსიას სანაცვლოდ 8 მილიონ გირვანქას სთავაზობს. პორტუგალიური კლუბის მფლობელი, პრეზიდენტი და სპორტული დირექტორი უკვე ჩავიდნენ ბარსელონაში კატალონიელებთან მოსალაპარაკებლად, თუმცა ლუის გარსიას „ესპანიოლი“, სულ ცოტა, 10 მილიონ გირვანქად აფასებს.

## სილვესტრი იჯარით ვილაში?

**ბირმინგემის** „ასტონ ვილა“ ვილფრედ ბოუმას ტრავმის შემდეგ მარცხენა მცველის ძიებაშია. ამ მხივ კი კლუბში ყველაზე მისაღებ კანდიდატურად „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველი მიკაელ სილვესტრი განიხილება. „ვილა“ მანჩესტერელებს, სავარაუდოდ, ფრანგის განათხოვრებას შესთავაზებს.

## რობინიო თუ დიეგო?

**ლონდონის** „ჩელსიმ“ რობინიოს ნაცვლად, შესაძლოა, დიეგო შეიძინოს. „ვერდერის“ ბრაზილიელი პლეიმეიკერით ადრე „ლურჯების“ ყოფილი დამრიგებელი ავრაამ გრანტი დაინტერესდა. ახლა კი თავის თანამემამულეს ლუიშ ფელიპე სკოლარიმაც დაადგა თვალი.

## ბენტლის გული უაით ჰართ ლეინზეა

**დევიდ ბენტლიმ,** რომელიც ამ დღეებში „ბლექბერნიდან“ „ტოტენჰემში“ გადავიდა, ახალი კლუბის მიმართ თავისი სიყვარული გამოხატა: „ჩემი გული „ტოტენჰემს“ ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიულად „არსენალში“ ვიზრდებოდი. ყველამ ნახეთ, რომ ხუანდე რამოსის ხელში გუნდმა პროგრესირება დაიწყო. ძალიან აღელვებული ვარ, აქ ბევრი კარგი ფეხბურთელია და ამიტომაც „ტოტენჰემში“ თამაშის დაწყებას მოუთმენლად ველი“. რაც შეეხება ლონდონელთა დამრიგებელ ხუანდე რამოსს, იგი უახლოეს მომავალში ბენტლის ძირითად შემადგენლობაში დაყენებას აპირებს: „დარწმუნებული ვარ, რომ იგი ჩვენს კლუბს ბევრს შესძენს, ჩვენ კი მას პოტენციალის რეალიზაციაში დავეხმარებით“ — აღნიშნა რამოსმა.

## ფარმაცევტების ახალი კაპიტანი

**საიმონ როლფესი** ლევერკუზენის „ბაიერის“ ახალ კაპიტნად დაინიშნა. „ფარმაცევტთა“ დამრიგებელ ბრუნო ლაბადიას გადაწყვეტილებით, ვიცე-კაპიტანი მცველი მანუელ ფრიდრიხი იქნება. 26 წლის როლფესი „ბაიერში“ 2005 წელს გადავიდა, გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში კი მან ევრო 2008-ზეც მიიღო მონაწილეობა.

## გლაზგოელი ბუგერა

**„გლაზგო რეინჯერსმა“** ინგლისის ქვედალიგელი „ჩარლტონისგან“ 5 მილიონ დოლარად მცველი მაჯიდ ბუგერა შეიძინა. 25 წლის ფეხბურთელით „ვესტ ბრომვიჩი“ და „ბეტისიც“ იყვნენ დაინტერესებული, მაგრამ ბუგერამ შოტლანდიური კლუბი არჩია და „ჩაფრებთან“ ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

## სისეს ძმა ალაპარაკდა

**ფრანგული** „მარსელის“ თავდამსხმელი ჯიბრილ სისე „რომაში“ გადასვლას არ აპირებს. ამის შესახებ ფეხბურთელის აგენტმა რანო სტოიჩმა განაცხადა: „სისეს იტალიაში გამგზავრება ნაღდად არ სურს, თანაც მე „რომასთან“ კავშირი საერთოდ არ მქონია. ვიცი, ასეთი ხმები საიდან გავრცელდა: ფეხბურთელის ძმა იმაზე საუბრობს, რაც მისი საქმე არ არის“ — განაცხადა სისეს აგენტმა.

**არჩილ ქოგახიძე**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შოტლანდია . I დივიზიონი | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 50 | კლაიდი-მორტონი | 2.20 | 3.50 | 2.60 | 1.35 | 1.19 | 1.49 |
| 18:00 | 51 | პარტიკი-დანფერმლაინი | 2.25 | 3.50 | 2.50 | 1.36 | 1.18 | 1.45 |
| 18:00 | 52 | ქუინი-ერდრი | 1.55 | 3.75 | 4.50 | 1.09 | 1.15 | 2.04 |
| 18:00 | 53 | როსი-დანდი | 2.50 | 3.50 | 2.25 | 1.45 | 1.18 | 1.36 |
| 18:00 | 54 | სტ.ჯონსტონი-ლივინგსტონი | 1.65 | 3.60 | 4.00 | 1.13 | 1.16 | 1.89 |
| | | შოტლანდია . II დივიზიონი | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 55 | არბროთი-ალოა | 2.50 | 3.40 | 2.30 | 1.44 | 1.19 | 1.37 |
| 18:00 | 56 | ეარი-რეითი | 2.20 | 3.50 | 2.60 | 1.35 | 1.19 | 1.49 |
| 18:00 | 57 | ბრეჩინი-სტირლინგი | 2.10 | 3.50 | 2.75 | 1.31 | 1.19 | 1.53 |
| 18:00 | 58 | ისტ ფაიფი-პიტერჰედი | 1.90 | 3.40 | 3.25 | 1.21 | 1.19 | 1.66 |
| 18:00 | 59 | ქუინზ პარკი-სტრანრარი | 2.10 | 3.50 | 2.75 | 1.31 | 1.19 | 1.53 |
| | | შოტლანდია . III დივიზიონი | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 60 | ალბიონი-ფორფარი | 2.35 | 3.50 | 2.35 | 1.40 | 1.17 | 1.40 |
| 18:00 | 61 | ბერიკი-ისტ სტირლინგი | 2.00 | 3.50 | 2.70 | 1.27 | 1.14 | 1.52 |
| 18:00 | 63 | დამბარტონი-მონტროუზი | 1.85 | 3.50 | 3.40 | 1.21 | 1.19 | 1.72 |
| 18:00 | 64 | სტენჰაუზმუირი-ელგინი | 1.75 | 3.60 | 3.75 | 1.17 | 1.19 | 1.83 |
| | | ავსტრია . ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 21:30 | 68 | რაპიდი-კაფენბერგი | 1.30 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.85 |
| | | 3 აგვისტო | | | | | | |
| 21:30 | 65 | ზალცბურგი-ლინცერი | 1.35 | 4.20 | 7.25 | 1.02 | 1.13 | 2.65 |
| 19:00 | 66 | შტურმი-აუსტრია | 2.20 | 3.25 | 2.80 | 1.31 | 1.23 | 1.50 |
| 21:30 | 69 | რიდი-აუსტრია კერნტენი | 1.80 | 3.25 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.75 |
| | | ავსტრია . I დივიზიონი | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 19:00 | 74 | ინსბრუკი-გროდიგი | 1.40 | 4.00 | 6.30 | 1.03 | 1.14 | 2.44 |
| | | შვეიცარია . სუპერლიგა | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 19:45 | 76 | სიონი-ბაზელი | 3.20 | 3.20 | 2.00 | 1.60 | 1.23 | 1.23 |
| 19:45 | 79 | ქსამაქსი-აარაუ | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| | | 3 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 77 | ბელინცონა-ლუცერნი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 18:00 | 78 | ვადუცი-გრასჰოპერი | 2.80 | 3.25 | 2.20 | 1.50 | 1.23 | 1.31 |
| 18:00 | 80 | ციურიხი-იანგ ბოიზი | 2.00 | 3.25 | 3.10 | 1.23 | 1.21 | 1.58 |
| | | შვეიცარია . ჩელენჯლიგა | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 18:45 | 81 | ლუგანო-შო დე ფონი | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 18:45 | 82 | შაფჰაუზენი-ლოკარნო | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 18:45 | 84 | ვილი-გოსაუ | 1.60 | 3.30 | 5.00 | 1.07 | 1.21 | 1.98 |
| 18:45 | 85 | ვინტერთური-სერვეტი | 1.80 | 3.30 | 3.75 | 1.16 | 1.21 | 1.75 |
| 19:45 | 87 | კონკორდია-ივერდონი | 2.00 | 3.25 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.61 |
| 18:00 | 88 | ლოზანა-თუნი | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| | | საფრანგეთი . II დივიზიონი | | | | | | |
| | | 4 აგვისტო | | | | | | |
| 22:30 | 29 | სტრასბური-მონპელიე | 1.95 | 3.00 | 3.75 | 1.18 | 1.28 | 1.66 |
| | | რუსეთი . პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 15:00 | 90 | ტომსკი-სპარტაკი | 3.40 | 3.10 | 2.00 | 1.62 | 1.25 | 1.21 |
| 18:00 | 91 | ხიმკი-დინამო | 3.75 | 3.20 | 1.90 | 1.72 | 1.26 | 1.19 |
| 16:00 | 92 | ზენიტი-მოსკოვი | 1.35 | 4.00 | 7.70 | 1.00 | 1.14 | 2.63 |
| | | 3 აგვისტო | | | | | | |
| 19:00 | 93 | ტერეკი-სატურნი | 2.15 | 2.90 | 3.30 | 1.23 | 1.30 | 1.54 |
| 19:00 | 94 | ცსკა-კრილია | 1.50 | 3.70 | 5.70 | 1.06 | 1.18 | 2.24 |
| 12:00 | 95 | ენერგია-რუბინი | 3.05 | 3.10 | 2.20 | 1.53 | 1.27 | 1.28 |
| 16:00 | 96 | ამკარი-ნალჩიკი | 1.75 | 3.10 | 4.65 | 1.11 | 1.27 | 1.86 |
| | | ჩეხეთი . გამბრინუს ლიგა | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 19:00 | 108 | პლზენი-ჟიჟკოვი | 1.70 | 3.35 | 4.65 | 1.12 | 1.24 | 1.94 |
| 21:00 | 109 | ბანიკი-კლადნო | 1.30 | 4.25 | 8.40 | 1.00 | 1.12 | 2.82 |
| 21:00 | 111 | ზლინი-იაბლონეცი | 2.10 | 3.00 | 3.40 | 1.23 | 1.29 | 1.59 |
| 21:00 | 112 | სპარტა-ბოლესლავი | 1.55 | 3.50 | 5.40 | 1.07 | 1.20 | 2.12 |
| | | 3 აგვისტო | | | | | | |
| 19:00 | 105 | ტეპლიცე-ბუდეიოვიცე | 1.55 | 3.40 | 5.70 | 1.06 | 1.21 | 2.12 |
| 22:00 | 106 | ლიბერეცი-სლავია | 2.65 | 3.00 | 2.50 | 1.40 | 1.28 | 1.36 |
| 19:00 | 107 | პრჟიბრამი-ბრნო | 3.00 | 3.10 | 2.25 | 1.52 | 1.28 | 1.30 |
| | | 4 აგვისტო | | | | | | |
| 19:15 | 110 | ბოჰემიანსი -სიგმა | 2.55 | 2.90 | 2.70 | 1.35 | 1.31 | 1.39 |
| | | სლოვაკეთი . I ლიგა | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 121 | სლოვანი-სტრედა | 1.35 | 3.80 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.46 |
| 21:00 | 123 | კოშიცე-დუბნიცა | 1.60 | 3.40 | 4.75 | 1.08 | 1.19 | 1.98 |
| 21:00 | 124 | რუჟომბეროკი-ბ.ბისტრიცა | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 21:30 | 126 | ნიტრა-პეტრჟალკა | 2.75 | 3.10 | 2.30 | 1.45 | 1.25 | 1.32 |
| | | 3 აგვისტო | | | | | | |
| 21:30 | 125 | ჟილინა-პრესოვი | 1.30 | 4.50 | 6.50 | 1.00 | 1.08 | 2.65 |
| | | 4 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 122 | ტრნავა-ზლატე მორავცე | 1.30 | 4.50 | 6.50 | 1.00 | 1.08 | 2.65 |
| | | ხორვატია . I დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 აგვისტო | | | | | | |
| 22:00 | 128 | ოსიეკი-ციბალია | 1.80 | 3.25 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.75 |
| 22:00 | 129 | შიბენიკი-ხორვატია | 1.80 | 3.30 | 3.60 | 1.16 | 1.20 | 1.72 |
| 22:00 | 130 | დინამო-ინტერი | 1.15 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 3.66 |
| 22:00 | 131 | რიეკა-ზაგრები | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 22:10 | 132 | ჰაიდუკი-ვარტეკსი | 1.40 | 3.75 | 6.00 | 1.01 | 1.13 | 2.30 |
| | | ნორვეგია . ტიპელიგა | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 22:00 | 148 | ვოლერენგა-ფრედრიკსტადი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 20:00 | 151 | ბრანი-ჰამ კამი | 1.45 | 3.75 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.30 |
| | | 3 აგვისტო | | | | | | |
| 20:00 | 146 | ლილესტრიომი-სტრიომსგოდსეტი | 1.80 | 3.40 | 3.50 | 1.17 | 1.18 | 1.72 |
| 20:00 | 149 | ვიკინგი-ლინი | 1.90 | 3.25 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.66 |
| 20:00 | 150 | სტაბეკი-ბოდიო გლიმტი | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 22:00 | 152 | ტრომსიო-რუსენბორგი | 2.35 | 3.25 | 2.50 | 1.36 | 1.21 | 1.41 |
| | | 4 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 147 | მოლდე-ალესუნდი | 1.80 | 3.40 | 3.50 | 1.17 | 1.18 | 1.72 |
| | | ნორვეგია . I დივიზიონი | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 157 | ოდ გრენლანდი-ნიბერგსუნდი | 1.20 | 6.00 | 9.50 | 1.00 | 1.06 | 3.67 |
| | | 3 აგვისტო | | | | | | |
| 20:00 | 153 | კონგსვინგერი-სტარტი | 5.05 | 3.90 | 1.50 | 2.20 | 1.15 | 1.08 |
| 20:00 | 154 | ალტა-სანდეფიორდი | 4.20 | 3.70 | 1.65 | 1.96 | 1.18 | 1.14 |
| 20:00 | 155 | სოგნდალი-ბრინი | 1.90 | 3.50 | 3.40 | 1.23 | 1.21 | 1.72 |
| 20:00 | 156 | ნოტოდენი-ჰაუგესუნდი | 1.70 | 3.50 | 4.40 | 1.14 | 1.22 | 1.94 |
| 20:00 | 158 | ჰიონეფოსი-ლოვ ჰამი | 1.60 | 3.70 | 4.90 | 1.11 | 1.20 | 2.10 |
| 20:00 | 160 | მოსი-სანდნესი | 1.55 | 3.70 | 5.40 | 1.09 | 1.20 | 2.19 |
| | | შვედეთი . ალსვენსკა | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 165 | გიოტებორგი-მალმიო | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| | | 3 აგვისტო | | | | | | |
| 20:00 | 166 | ჰამარბი-ლიუნგსკილე | 1.40 | 3.75 | 7.00 | 1.01 | 1.16 | 2.44 |
| 20:00 | 167 | გეფლე-ჰალმსტადი | 2.35 | 3.10 | 2.60 | 1.33 | 1.23 | 1.41 |
| 20:00 | 168 | ტრელებორგი-იორებრო | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | 4 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 170 | ელფსბორგი-გაის | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 22:00 | 171 | კალმარი-აიკ | 1.90 | 3.25 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.66 |
| 21:00 | 172 | ჰელსინგბორგი-სუნდსვალი | 1.40 | 3.75 | 6.00 | 1.01 | 1.13 | 2.30 |
| | | შვედეთი . სუპერეტა | | | | | | |
| | | 3 აგვისტო | | | | | | |
| 19:00 | 180 | ბრომაპოიკარნა-ფალკენბერგი | 2.10 | 3.30 | 2.85 | 1.28 | 1.20 | 1.52 |
| 19:00 | 181 | ქვიდინგი-ასირისკა | 3.00 | 3.40 | 2.00 | 1.59 | 1.20 | 1.25 |
| 19:00 | 185 | ანგელჰოლმი-ჰეკენი | 3.50 | 3.40 | 1.80 | 1.72 | 1.18 | 1.17 |
| | | 4 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 182 | ენჩიოპინგი-ლანდსკრონა | 2.50 | 3.25 | 2.35 | 1.41 | 1.21 | 1.36 |
| 21:00 | 183 | ბუნკეფლო-იორგრიტე | 4.00 | 3.40 | 1.70 | 1.83 | 1.19 | 1.13 |
| 21:00 | 184 | ვესბი-მიალბი | 2.60 | 3.25 | 2.30 | 1.44 | 1.22 | 1.34 |
| 21:00 | 186 | სირიუსი-დეგერფორსი | 1.90 | 3.40 | 3.25 | 1.21 | 1.19 | 1.66 |
| 21:00 | 187 | იონკოპინგი-ატვიდაბერგი | 2.50 | 3.25 | 2.35 | 1.41 | 1.21 | 1.36 |
| | | დანია . სუპერლიგა | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 19:00 | 140 | ვეილე-ოლბორგი | 3.75 | 3.35 | 1.85 | 1.76 | 1.23 | 1.19 |
| | | 3 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 139 | ესბიერგი-ნორდსიელანდი | 1.85 | 3.45 | 3.60 | 1.20 | 1.22 | 1.76 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 141 | მიდტიულანდი-ჰორსენსი | 1.50 | 3.70 | 5.75 | 1.06 | 1.18 | 2.25 |
| 19:30 | 142 | ბრიონდბიუ-რანდერსი | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| 18:00 | 143 | ოდენსე-ორჰუსი | 1.35 | 4.10 | 7.50 | 1.01 | 1.14 | 2.65 |
| | | 4 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 144 | სიონდერიისკე-კოპენჰაგენი | 8.00 | 4.70 | 1.30 | 2.96 | 1.11 | 1.01 |
| | | ფინეთი . ვაიკაუსლიგა | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 19:30 | 190 | ტამპერე-როვანიემი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| | | 3 აგვისტო | | | | | | |
| 19:30 | 191 | მარიეჰამნი-მიუპა | 3.20 | 3.20 | 2.00 | 1.60 | 1.23 | 1.23 |
| 19:30 | 192 | ჰონკა-იარო | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 19:30 | 193 | კუოპიო-ჰაკა | 2.80 | 3.10 | 2.25 | 1.47 | 1.24 | 1.30 |
| 19:30 | 194 | ვპს-ლაჰტი | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| | | 4 აგვისტო | | | | | | |
| 19:30 | 195 | ინტერი-ტურკუ | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| | | ირლანდია . პრემიერ დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 208 | დუბლინი-სტ.პატრიკსი | 3.80 | 3.30 | 1.70 | 1.76 | 1.17 | 1.12 |
| 18:00 | 213 | სლიგო-კორკი | 3.25 | 3.20 | 1.95 | 1.61 | 1.21 | 1.21 |
| | | აშშ . MLS | | | | | | |
| | | 3 აგვისტო | | | | | | |
| 03:30 | 218 | ვაშინგტონი-კანზასი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 04:30 | 219 | ჩიკაგო-ჩივასი | 2.00 | 3.20 | 3.05 | 1.23 | 1.20 | 1.56 |
| 04:30 | 220 | ჰიუსტონი-კოლამბუსი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 23:00 | 221 | სან ხოსე-ლოს ანჯელესი | 2.60 | 3.25 | 2.30 | 1.44 | 1.22 | 1.34 |
| 23:45 | 222 | ტორონტო-დალასი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| | | საფრანგეთი . თასი | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 20:00 | 31 | ბორდო-ლიონი | 2.65 | 3.15 | 2.50 | 1.43 | 1.28 | 1.39 |
| | | გერმანია . III ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 16:00 | 32 | უნ.ბერლინი-შტუდგარტი მ | 1.90 | 3.25 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.66 |
| 16:00 | 33 | ოფენბახი-ბურგჰაუზენი | 1.80 | 3.25 | 3.75 | 1.15 | 1.21 | 1.74 |
| 16:00 | 34 | პადერბორნი-უნტერჰახინგი | 1.80 | 3.25 | 3.75 | 1.15 | 1.21 | 1.74 |
| 16:00 | 35 | კიკერსი-დუსელდორფი | 2.40 | 3.20 | 2.50 | 1.37 | 1.22 | 1.40 |
| 16:00 | 36 | აალენი-რეგენსბურგი | 1.65 | 3.40 | 4.00 | 1.11 | 1.16 | 1.83 |
| 16:00 | 37 | ვუპერტალი-ბაიერნი მ | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| | | 3 აგვისტო | | | | | | |
| 16:00 | 38 | ბრაუნშვაიგი-ერფურტი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მექსიკა . კლაუსურა | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 05:00 | 223 | ტეკოსი-ჩივასი | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| | | 3 აგვისტო | | | | | | |
| 06:00 | 224 | ნეკასა-პუებლა | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 05:45 | 225 | ატლასი-კრუს ასული | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 02:00 | 227 | ხაგუარესი-ტიგრესი | 2.35 | 3.25 | 2.50 | 1.36 | 1.21 | 1.41 |
| 04:00 | 228 | პაჩუკა-სან ლუისი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 21:00 | 229 | ტოლუკა-ამერიკა | 2.35 | 3.25 | 2.50 | 1.36 | 1.21 | 1.41 |
| 21:00 | 230 | მორელია-ატლანტე | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| | | 4 აგვისტო | | | | | | |
| 02:00 | 231 | სანტოსი-პუმასი | 1.80 | 3.25 | 3.75 | 1.15 | 1.21 | 1.74 |
| | | საერთაშორისო . ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 17:00 | 336 | რეალი-ჰამბურგი | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 18:00 | 338 | ალდერშოტი-ჩარლტონი | 3.60 | 3.40 | 1.80 | 1.74 | 1.20 | 1.17 |
| 18:00 | 339 | ბარნეტი-უოტფორდი | 3.50 | 3.40 | 1.80 | 1.72 | 1.18 | 1.17 |
| 18:00 | 340 | ბარტონი-ჩესტერფილდი | 2.60 | 3.40 | 2.20 | 1.47 | 1.19 | 1.33 |
| 18:00 | 341 | ქრიუ-პრესტონი | 2.60 | 3.40 | 2.25 | 1.47 | 1.20 | 1.35 |
| 18:00 | 342 | ექსეტერი-მილუოლი | 2.60 | 3.40 | 2.25 | 1.47 | 1.20 | 1.35 |
| 18:00 | 343 | ჰიბერნიანი-მიდლსბრო | 2.80 | 3.40 | 2.10 | 1.53 | 1.20 | 1.29 |
| 18:00 | 344 | ჰადერსფილდი-შეფილდი | 2.60 | 3.40 | 2.20 | 1.47 | 1.19 | 1.33 |
| 18:00 | 345 | ლუტონი-ბრაიტონი | 2.60 | 3.40 | 2.20 | 1.47 | 1.19 | 1.33 |
| 18:00 | 346 | მორიკომბი-კარლაილი | 3.00 | 3.40 | 2.00 | 1.59 | 1.20 | 1.25 |
| 18:00 | 347 | ნოტსი-ნოტინგემი | 4.00 | 3.40 | 1.70 | 1.83 | 1.19 | 1.13 |
| 18:00 | 348 | რეინჯერსი-ლივერპული | 2.60 | 3.40 | 2.25 | 1.47 | 1.20 | 1.35 |
| 18:00 | 349 | რედინგი-ასტონ ვილა | 2.80 | 3.40 | 2.10 | 1.53 | 1.20 | 1.29 |
| 18:00 | 350 | როტერჰემი-ჰარტლპული | 2.50 | 3.40 | 2.30 | 1.44 | 1.19 | 1.37 |
| 18:00 | 351 | უენსდი-უიგანი | 2.80 | 3.40 | 2.10 | 1.53 | 1.20 | 1.29 |
| 18:00 | 352 | შრიუსბერი-სტოკი | 3.60 | 3.40 | 1.80 | 1.74 | 1.20 | 1.17 |
| 18:00 | 353 | სუონსი-ვესტ ბრომვიჩი | 2.80 | 3.40 | 2.10 | 1.53 | 1.20 | 1.29 |
| 18:00 | 354 | ტრანმერე-ბლეკპული | 2.30 | 3.40 | 2.50 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| 18:00 | 355 | უოკინგი-ბრენტფორდი | 2.60 | 3.40 | 2.20 | 1.47 | 1.19 | 1.33 |
| 18:00 | 356 | ვულვერჰემპტონი-ბლექბერნი | 2.50 | 3.40 | 2.30 | 1.44 | 1.19 | 1.37 |
| 18:00 | 357 | ბრედფორდი-ოლდემი | 2.40 | 3.40 | 2.40 | 1.40 | 1.20 | 1.40 |
| 18:00 | 358 | ბირმინგემი-ფულემი | 2.30 | 3.40 | 2.50 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| 18:00 | 359 | მანჩესტერი-ესპანიოლი | 1.30 | 4.30 | 7.00 | 1.00 | 1.09 | 2.66 |
| 18:00 | 360 | სკანთორპი-გრიმსბი | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 19:00 | 361 | არსენალი-იუვენტუსი | 2.10 | 3.40 | 2.80 | 1.29 | 1.20 | 1.53 |
| 20:00 | 362 | ნორვიჩი-კოლჩესტერი | 1.65 | 3.40 | 4.30 | 1.11 | 1.19 | 1.89 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10068 | რაპიდი-კაფენბერგი | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10076 | სიონი-ბაზელი | 3.60 | 2.00 | 2.40 | 1.28 | 1.44 | 1.09 |
| 10079 | ქსამაქსი-აარაუ | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10140 | ვეილე-ოლბორგი | 4.15 | 2.00 | 2.25 | 1.34 | 1.45 | 1.05 |
| 10148 | ვოლერენგა-ფრედრიკსტადი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10151 | ბრანი-ჰამ კამი | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10165 | გიოტებორგი-მალმიო | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10065 | ზალცბურგი-ლინცერი | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10066 | შტურმი-აუსტრია | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10069 | რიდი-აუსტრია კერნტენი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10077 | ბელინცონა-ლუცერნი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10078 | ვადუცი-გრასჰოპერი | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10080 | ციურიხი-იანგ ბოიზი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10139 | ესბიერგი-ნორდსიელანდი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10141 | მიდტიულანდი-ჰორსენსი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10142 | ბრიონდბიუ-რანდერსი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10143 | ოდენსე-ორჰუსი | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10146 | ლილესტრიომი-სტრიომსგოდსეტი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10149 | ვიკინგი-ლინი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10150 | სტაბეკი-ბოდიო გლიმტი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10152 | ტრომსიო-რუსენბორგი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10166 | ჰამარბი-ლიუნგსკილე | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10167 | გეფლე-ჰალმსტადი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10168 | ტრელებორგი-იორებრო | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10144 | სიონდერიისკე-კოპენჰაგენი | 7.00 | 2.50 | 1.55 | 1.84 | 1.26 | 1.00 |
| 10147 | მოლდე-ალესუნდი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
## (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12068 | რაპიდი-კაფენბერგი | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12076 | სიონი-ბაზელი | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12079 | ქსამაქსი-აარაუ | 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12140 | ვეილე-ოლბორგი | 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12148 | ვოლერენგა-ფრედრიკსტადი | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12151 | ბრანი-ჰამ კამი | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12165 | გიოტებორგი-მალმიო | 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12065 | ზალცბურგი-ლინცერი | 2,5 | 2.00 | 1.55 |
| 12066 | შტურმი-აუსტრია | 2,5 | 1.80 | 1.80 |
| 12069 | რიდი-აუსტრია კერნტენი | 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12077 | ბელინცონა-ლუცერნი | 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12078 | ვადუცი-გრასჰოპერი | 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12080 | ციურიხი-იანგ ბოიზი | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12139 | ესბიერგი-ნორდსიელანდი | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12141 | მიდტიულანდი-ჰორსენსი | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12142 | ბრიონდბიუ-რანდერსი | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12143 | ოდენსე-ორჰუსი | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12146 | ლილესტრიომი-სტრიომსგოდსეტი | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12149 | ვიკინგი-ლინი | 2,5 | 1.80 | 1.80 |
| 12150 | სტაბეკი-ბოდიო გლიმტი | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12152 | ტრომსიო-რუსენბორგი | 2,5 | 1.80 | 1.80 |
| 12166 | ჰამარბი-ლიუნგსკილე | 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12167 | გეფლე-ჰალმსტადი | 2,5 | 1.60 | 2.00 |
| 12168 | ტრელებორგი-იორებრო | 2,5 | 1.60 | 2.00 |
| 12144 | სიონდერიისკე-კოპენჰაგენი | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12147 | მოლდე-ალესუნდი | 2,5 | 2.00 | 1.60 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15068 | რაპიდი-კაფენბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15076 | სიონი-ბაზელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15079 | ქსამაქსი-აარაუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15140 | ვეილე-ოლბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15148 | ვოლერენგა-ფრედრიკსტადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15151 | ბრანი-ჰამ კამი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15165 | გიოტებორგი-მალმიო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15065 | ზალცბურგი-ლინცერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15066 | შტურმი-აუსტრია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15069 | რიდი-აუსტრია კერნტენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15077 | ბელინცონა-ლუცერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15078 | ვადუცი-გრასჰოპერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15080 | ციურიხი-იანგ ბოიზი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15139 | ესბიერგი-ნორდსიელანდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15141 | მიდტიულანდი-ჰორსენსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15142 | ბრიონდბიუ-რანდერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15143 | ოდენსე-ორჰუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15146 | ლილესტრიომი-სტრიომსგოდსეტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15149 | ვიკინგი-ლინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15150 | სტაბეკი-ბოდიო გლიმტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15152 | ტრომსიო-რუსენბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15166 | ჰამარბი-ლიუნგსკილე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15167 | გეფლე-ჰალმსტადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15168 | ტრელებორგი-იორებრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15144 | სიონდერიისკე-კოპენჰაგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15147 | მოლდე-ალესუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16068 | რაპიდი-კაფენბერგი | 1.08 | 5.00 |
| 16076 | სიონი-ბაზელი | 2.20 | 1.50 |
| 16079 | ქსამაქსი-აარაუ | 1.70 | 1.95 |
| 16140 | ვეილე-ოლბორგი | 2.45 | 1.40 |
| 16148 | ვოლერენგა-ფრედრიკსტადი | 1.40 | 2.55 |
| 16151 | ბრანი-ჰამ კამი | 1.12 | 4.60 |
| 16165 | გიოტებორგი-მალმიო | 1.40 | 2.55 |
| 16065 | ზალცბურგი-ლინცერი | 1.10 | 5.50 |
| 16066 | შტურმი-აუსტრია | 1.55 | 2.20 |
| 16069 | რიდი-აუსტრია კერნტენი | 1.30 | 3.00 |
| 16077 | ბელინცონა-ლუცერნი | 1.70 | 1.95 |
| 16078 | ვადუცი-გრასჰოპერი | 1.95 | 1.65 |
| 16080 | ციურიხი-იანგ ბოიზი | 1.40 | 2.55 |
| 16139 | ესბიერგი-ნორდსიელანდი | 1.32 | 3.00 |
| 16141 | მიდტიულანდი-ჰორსენსი | 1.14 | 4.70 |
| 16142 | ბრიონდბიუ-რანდერსი | 1.22 | 3.40 |
| 16143 | ოდენსე-ორჰუსი | 1.10 | 5.50 |
| 16146 | ლილესტრიომი-სტრიომსგოდსეტი | 1.30 | 3.00 |
| 16149 | ვიკინგი-ლინი | 1.34 | 2.80 |
| 16150 | სტაბეკი-ბოდიო გლიმტი | 1.14 | 4.70 |
| 16152 | ტრომსიო-რუსენბორგი | 1.65 | 2.05 |
| 16166 | ჰამარბი-ლიუნგსკილე | 1.11 | 5.70 |
| 16167 | გეფლე-ჰალმსტადი | 1.65 | 2.05 |
| 16168 | ტრელებორგი-იორებრო | 1.50 | 2.30 |
| 16144 | სიონდერიისკე-კოპენჰაგენი | 5.70 | 1.11 |
| 16147 | მოლდე-ალესუნდი | 1.30 | 3.00 |



საქართველოს ძალოსანთა ნაკრები 6 აგვისტოს პეკინში წავა და ოლიმპიადაზე დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ძალოსნობაში ყველაზე მეტ სპორტსმენს წარადგენს. ჩვენი ძალოსნები სამი ლიცენზიის მფლობელები არიან. პეკინში, როგორც იცით: რაულ ცირეკიძე (85 კგ), არსენ კასაბიევი (94 კგ) და ალბერტ კუზილოვი გამოვლენ. ნაკრების კანდიდატები საბოლოოდ მას შემდეგ გამოიკვეთა, რაც საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა და მწვრთნელმა ვანო გრიქუროვმა ოთხი ძალოსნიდან სამი უკეთესი შეარჩია. ზურაბ მაჭავარიანი ამ ეტაპზე საუკეთესოებში ვერ მოხვდა... გუშინ ნაკრების თავკაც ვანო გრიქუროვს ვესაუბრეთ და ბიჭების მზადყოფნაზე ვკითხეთ...

# გრიქუროვის მოძრაობა
## არ გაჩერდეთ ერთ ადგილას და შეიგრძენით ფიცარნაგი

— ოლიმპიადისთვის მზადება იანვრიდან დავიწყეთ და თვის ბოლომდე პოლონეთში, ჩეხანოვოში ვემზადებოდით. ამის შემდეგ საქართველოში დავბრუნდით და გლდანის დარბაზში გავიარეთ შეკრება ერთი თვით. შემდეგ ისევ საზღვარგარეთ ჩავედით, პოლონეთში სამთვიანი მოსამზადებელი ციკლი გავიარეთ, სადაც ოთხ სხვადასხვა ადგილას ვემზადებოდით: სპალა, ბალისლავო, ზაკოპანიე, ჩეხანოვო. საკმაოდ ნაყოფიერი ვარჯიშები გამოგვივიდა, იდეალურ პირობებში ვემზადებოდით ოლიმპიადისთვის. 1 ივლისიდან კი უკვე თბილისში ვართ.

**— ნაკრები მონაცვლეობით საქართველოში და საზღვარგარეთ ემზადებოდა. ასე რატომ გადაწყვიტეთ?**

— ერთ ადგილზე ყოფნა სასურველი არ არის. ელემენტარულად, ბეზრდება ადამიანს. იმისთვის, რომ სპორტსმენი კარგად მოემზადოს, საჭიროა, განსხვავებული კვება, ჰაერი, კლიმატი.

**— ევროპის ჩემპიონატი კი გამოტოვეთ. რატომ?**

— ასე ჯობდა ჩვენთვის. იქ გამოსვლის აუცილებლობა არ იყო. სამაგიეროდ, სამ პატარა ტურნირზე გამოვედით პოლონეთში. ეს გვჭირდებოდა იმისთვის, რათა ბიჭებს ფიცარნაგის შეგრძნება არ დაეკარგათ.

**— როგორ ფორმაში ხვდებიან ოლიმპიადას ძალოსნები, ტრავმა ხომ არავის აწუხებს?**

— მცირე ტრავმები სამივე ძალოსანს აქვს. საერთოდ, მთელი მოსამზადებელი ეტაპის დროს ეს პრობლემა სულ გვიშლიდა ხელს. კასაბიევიც ვერ იტვირთება მაქსიმალურად, თუმცა ახლა ტრავმების მოშუშების დრო არ არის, უნდა გაუძლონ ყველაფერს და ოლიმპიადაზე გამოვიდნენ. მთლიანობაში საშუალო დონეზე არიან მომზადებულები, არადა, ეს პრობლემები რომ არა, ბევრად უკეთეს ფორმაში შეხვდებოდნენ ოლიმპიადას,რადგან ყველანაირი პირობა გვქონდა შექმნილი საამისოდ.

**— პეკინში პირველი გამოსვლა ჩვენს ძალოსანს 15 აგვისტოს უწევს. მოასწრებენ ადაპტაციას?**

— ათი დღე გვექნება ამისთვის. საერთოდ კი, 6-7 დღე საკმარისია. ესეც არ იყოს, დროში სულ ოთხი საათის სხვაობაა და იქაურ გარემოსთან შეგუება დიდ პრობლემას არ წარმოადგენს.

**ლექსო მაისურაძე**



# კეტოევი და კეტონალი?

**პეკინის** ოლიმპიადის დაწყებამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეები დარჩა. მაშინ როცა მილიონობით ქომაგი 29-ე თამაშების დაწყებას მოუთმენლად ელის ოლიმპიადაზე მონაწილე ქვეყნებიდან ერთ-ერთ ფავორიტ ნაკრებს მწარე სილა მოხვდა. რუსი ოლიმპიელების 6 სპორტსმენი, კერძოდ კი მძლეოსნობის მარაქაში სახელიანად გარეული გოგონები დოპინგზე ჩავარდნენ და მათ მძლეოსნობის ფედერაციის საერთაშორისო ასოციაციამ დროებითი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა...

ჩვენი ინფორმაციით, რომლის უტყუარობაზე ახლა თავს ვერ დავდებთ დოპინგზე ჩავარდნა სხვა რუს ოლიმპიელებსაც ემუქრებათ და მათ შორისაა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრი გიორგი კეტოევი (84კგ), იგივე ქეთიშვილი, ვინც თავის წონაში ერთ-ერთ უძლიერეს სპორტსმენად ითვლება და ოლიმპიადის წინ ჩემპიონობისთვის მებრძოლთა შორის მოიხსენიება.

კეტოევმა მაისში ტამპერეში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე რევაზ მინდორაშვილს ფინალი 5:2, 2:1 მოუგო და ოქროს მედალი წაართვა, თუმც რეზოს ეს ბიჭი მანამდე წაქცეულიც ჰყავს. ოღონდ მთავარი ახლა სხვა რამაა, თუ ისე მოხდა, კეტოევს ოლიმპიადაზე გამოსვლა აუკრძალეს მაშინ თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ მინდორაშვილს საჩემპიონო გზიდან ძლიერი მოჭიდავე ჩამოსცილდება, რაც ვფიქობთ, ურიგო ნამდვილად არ არის. სხვათა შორის შეიძლება ისეც მოხდეს, რომ კეტოევის დოპინგზე ჩავარდნამ ერთბაშად ორი კურდღელი დაგვაჭერინოს. თუ ისე მოხდა, რომ რუს მოჭიდავეს დოპინგი ევროპის ჩემპიონატამდე აქვს მიღებული, მაშინ მას ოქროს მედალსაც ჩამოართმევენ და ის ჩვენ მოჭიდავეს გადაეცემა. შეგახსენებთ, რომ დავით მოძმანაშვილის შემთხვევაში ზუსტად ანალოგიური რამ მოხდა.

გუშინვე საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პოზიციით დავინტერესდით. ფედერაციის სახელით კომენტარი პრეს-ატაშემ თამუნა ჭინჭარაძემ გააკეთა: „გიორგი კეტოევი წესიერი სპორტსმენია და ეს ფაქტი ცოტა ძნელი დასაჯერებელია. ის თუ მართლა ჩავარდება დოპინგზე და ოლიმპიადას გამოტოვებს, ნამდვილად არ იქნება კარგი თვითონ ოლიმპიადისთვის. მის წონაში ჩვენგან რევაზ მინდორაშვილი ჭიდაობს, ის კარგ ფორმაშია, ოლიმპიადის დაწყებას ელის და დიდი მნიშვნელობა არა აქვს, თუ როგორ განვითარდება ამ მხრივ მოვლენები. ისე კი შემიძლია გითხრათ, რომ გიორგი კეტოევი სერიოზული მოჭიდავეა და თუ პეკინში ვერ იჭიდავებს, მაშინ რევაზ მინდორაშვილს ერთ-ერთი ძლიერი კონკურენტი მოაკლდება“.

როგორც ზემოთ ვთქვით ამ ინფორმაციის უტყუარობაზე თავს ვერ ვდებთ, თუმც მაშინ, როდესაც რუსთა ოლიმპიური გუნდიდან კეტოევზე არანაკლებ სახელიანი სპორტსმენები ჩავარდნენ დოპინგზე და დღეს ეს თემა საერთოდ სპორტულ სამყაროში საკმაოდ აქტუალურია ვერც ვერაფერს გამოვრიცხავთ...

**ლექსო მაისურაძე**

# გამცილებელ-დამხვედრი გიმრავლოთ

**დღეს** ნაშუადღევს საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები, ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელები და სპორტის დეპარტამენტის წარმომადგენლები თბილისი-კიევი-პეკინის რეისით ოლიმპიადაზე გაემგზავრნენ.



ბეგი დარჩია

ჩვენი დელეგაციის ნაწილი აეროპორტიდან ჟურნალისტებმა, ნათესავებმა და უბრალოდ ქართული სპორტის ქომაგებმა გააცილეს.

რაღა შეხსენება უნდა, მაგრამ მაინც. კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი „ანტიკოსთა“ ნაკრებს, ვისიც ქართველ გულშემატკივარს ძალიან ეიმედება: ლაშა გოგიტაძე (55კგ), დავით ბედინაძე (60კგ), მანუჩარ კვირკველია (74კგ), ბადრი ხასაია (84კგ), რამაზ ნოზაძე (96კგ).

იმედი გვაქვს, რომ „ანტიკოსები“ სამშობლოში მედლებით დაგვიბრუნდებიან და თბილისის აეროპორტში ბევრად მეტ ქომაგს შეყრიან, ჩემპიონებისთვის საკადრისი დახვედრის მოსაწყობად...

**ლექსო მაისურაძე**



# იგორ კოკოშკოვი: მე ვარ გზა

## სერბმა საომარი მობილიზაცია გამოაცხადა

„ჩვენ დღეიდან საკალათბურთო ომში ვებმებით და გეცოდინებათ, რომ ბრძოლას მხოლოდ კარგად გაწვრთნილი ჯარისკაცები იგებენ. მეც იმიტომ ვარ აქ, რომ ქართველებს მომზადებაში დავეხმარო და იმ მიზნებამდე მივიყვანო, რაც კალათბურთის ფედერაციას და მთლიანად საქართველოს სურს“ — ეს გახლავთ ჩვენი ეროვნული ნაკრების ახალი დამრიგებლის, სერბი იგორ კოკოშკოვის მთავარი ლოზუნგი, ვინც გუშინ დილის საწვრთნელ ბაზაზე მასმედიისთვის ღია ვარჯიში ჩაატარა და მისი დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს გული გადაუშალა.

დრაჟენ ბრაიკოვიჩი, გორდონ ჰერბერტი, კენ შილდსი — ნაკრების ყველა ამ უცხოელი თავკაცის პირველ ღია ვარჯიშს დავსწრებივარ და, ალალად ვიტყვი, ასეთი შთაბეჭდილება, კოკოშკოვმა გუშინ რომ მოახდინა, პირადად ჩემზე არც ერთ მათგანს არ მოუხდენია. დინჯი, მკაცრი, საქმიანი, აუჩქარებელი, პირდაპირი — კიდევ მრავალი დადებითის თქმა შეიძლება კოკოშკოვზე, თუმცა მთავარი მაინც ისაა, რომ ყველა მოთამაშე, ლეგიონერი თუ აქაური, ჩინიანი თუ უჩინო, ანჩხლობითა თუ დისციპლინურობით ცნობილი, ყველა მოწიწებით ემორჩილებოდა სერბ სპეციალისტს. არ ყოფილა არავითარი გაუგებრობა, კალათბურთელებში ჩანდა დიდი პასუხისმგებლობა და მწვრთნელისადმი პატივისცემა.

ეგებ მავანს სასაცილოდაც არ ეყოს ამაზე ყურადღების გამახვილება და თქვას, ეს ხომ ისედაც ესე უნდა იყოსო. კი, ბატონო, უნდა იყოს, მაგრამ აქამდელ მწვრთნელ კენ შილდსს სწორედ ამას უწუნებდნენ თავად მოთამაშეები — მეტისმეტად რბილია და შეგირდები ერთ მუჭში ვერ მოიქცია, მის ვარჯიშებზე დისციპლინის ნაკლებობა იყოო.

ჰოდა, ამიტომაც გავამხვილეთ ყურადღება კოკოშკოვის მკაცრ იმიჯზე, სერბი მწვრთნელი ისეთი ადამიანი ჩანს, იოტისოდენას არავის არ შეარჩენს და ამას რომ ყველა ხედავს, იმიტომაც ჩაიარა მისმა გუშინდელმა ვარჯიშმა იდილიურად. კოკოშკოვს მოთამაშეებთან პრობლემა არ ჰქონია და ერთადერთი, ვისაც სერბმა შენიშვნა მისცა, ტრიბუნაზე მჯდარი მაყურებლები იყვნენ. ვარჯიშის მაცქერალნი ლაპარაკში გაერთნენ და მათი ხმა კოკოშკოვის ყურამდე რომ მივიდა, სერბი დაუფიქრებლად მიუახლოვდა ტრიბუნას და იქ მსხდომთ მიმართა, მაპატიეთ, მაგრამ თქვენი ხმამაღალი ლაპარაკი ვარჯიშში ხელს გვიშლისო და მას შემდეგ კოკოშკოვისთვის უკმაყოფილების საბაბი არავის მიუცია.

სულ სერბის განკარგულებაში 17 მოთამაშე იყო. წესით, 31 ივლისიდან 4 აგვისტომდე კოკშკოვს ნაკრების საქართველოში მოთამაშე კანდიდატები უნდა გამოეცადა, მაგრამ თბილისში მყოფ ლეგიონერებს გულმა არ მოუთმინა, კეთილი ნება გამოიჩინეს და ნაკრებს აქედანვე შეუერთდნენ. აქედანაც



იგორ კოკოშკოვი და ნიკა ცქიტიშვილი

ჩანს, რომ ახალ მწვრთნელს და, რაც მთავარია, საერთო საქმეს, ყველა გაგებით ეკიდება. ნიკოლოზ ცქიტიშვილის შარშანდელი ამბავი ყველას მოეხსენება — „სკიტამ“ წინა ციკლის მთელი მოსამზადებელი პერიოდი გააცდინა, კლუბის ძიებაში იყო და ნაკრებში თამაშის წინა დღეებში გამოცხადდა, თუმცა მაშინდელმა მწვრთნელმა კენ შილდსმა, აღარ მჭირდებიო და ცქიტიშვილი გუნდში არ აიყვანა. ახლა კი ნიკა ნაადრევად ჩამოვიდა თბილისში და როცა ეკუთვნოდა ნაკრებში გამოცხადება (4 აგვისტოს) იმაზე ადრე ჩადგა კოკოშკოვის „ჯარისკაცთა“ რიგებში. ცქიტიშვილთან ერთად გუშინ დილომში ესტონური „ტარტუს“ გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე, ლიტვური „ალიტას“ უკანახაზელი ტატო ვაშაკიძე და ესტონური ტტუ-ს ცენტრი სერგო ათუაშვილიც იყვნენ.

ვარჯიში 3 საათზე მეტხანს გაგრძელდა — კოკოშკოვმა ყველა კომპონენტში ბეჯითად გაწვრთნა ბიჭები და ბოლოს უთხრა, ახლა დაისვენეთ, კარგი იქნება, თუ გამოიძინებთ და საღამოს 6 საათზე ისევ აქ ვიკრიბებით სავარჯიშოდო.

ამის შემდეგ სერბმა მწვრთნელმა დილმის ბაზის საპრესკონფერენციო ოთახს მიაშურა და ჟურნალისტებს გაგვესაუბრა.

— ჩემთვის დიდი პატივია, რომ საშუალება მეძლევა, საქართველოს ეროვნული ნაკრები საერთაშორისო სარბიელზე წარმოვადგინო. ვიცი, რომ არაერთი ქართველი თამაშობს ევროპაში, ნბა-შიც გყავთ წარმომადგენელი და ეს იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი საკალათბურთო სკოლა აქვს. მე ამას ვამბობ, როგორც 15-წლიანი სამწვრთნელო გამოცდილების მქონე ადამიანი, საიდანაც 9 წელი ამერიკაში, ნბა-ს გუნდებში ვიმუშავე. 5 წელი „დეტროიტ პისტონზის“ ასისტენტი მწვრთნელი ვიყავი, როცა იქ ლარი ბრაუნი, მოგვიანებით კი ფლიპ სინდერსი თავკაცობდნენ. აქედან ერთხელ ჩემპიონობას შევწვდით, ხოლო 5-ჯერ კონფერენციის ფინალი ვითამაშეთ...

...ვფიქრობ, საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა ჩემს კარიერაში წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. სხვათა შორის, თქვენი ნაკრების მწვრთნელობას რომ დავთანხმდი, მაშინ „დეტროიტში“ ვმუშაობდი და ეს ნაბიჯი „პისტონზის“ პრეზიდენტ ჯო დუმარის ნებართვით გადავდგი, რისთვისაც მას მადლობა მინდა, ვუთხრა. ასევე მადლობა ჩემს ახალ გუნდ „ფინიქსის“ გენარალურ მენეჯერ სტივ კერის, რომელმაც პრობლემა არ შემიქმნა, საქართველოში გამომგზავრებასთან დაკავშირებით. და მთავარი: ჩემი ოჯახი გაგებით მოეკიდა ჩემს ამ ნაბიჯს, რამაც დიდი სტიმული მომცა.

**— საკუთრივ თქვენ რატომ დათანხმდით ჩვენს ნაკრებში მუშაობას?**

— მოგეხსენებათ, ნბა-ში ახლა ხანგრძლივი შესვენებაა. ოქტომბრამდე ფაქტობრივად ყველა თავისუფალია და ზოგი დასვენებას ამჯობინებს, ზოგიც სხვა საქმეებითა დაკავებული. მე ასე გადავწყვიტე შვებულების გამოყენება — საქართველოს ნაკრები ჩემი ახალი გამოწვევაა.

**— თუ იცოდით აქამდე რამე საქართველოს შესახებ?**

— პირადი შეხება არ მქონია, თუმცა ვიცოდი, რომ არაერთი ქართველი თამაშობს ევროპაში და ნბა-ში. ზაზა ფაჩულიას თამაში საზაფხულო ლიგაზე ვნახე სწორედ იმ წელს, როცა ის დრაფტზე აირჩიეს. ცქიტიშვილის „დენვერის“ მიერ მე-5 ნომრად აყვანის ამბავიც ვიცი. ბოისას და მარკოიშვილის ევროპული კლუბებიდან ვიცნობ. რაც შეეხება გიორგი ცინცაძეს, მისი სახელი არ მახსოვს იმის მიუხედავად, რომ ის ჩემი მეგობრის, დუშან ივკოვიჩის ცსკა-ში თამაშობდა 4-5 წლის წინ. ეს იმიტომ, რომ ცინცაძე მაშინ სრულიად ახალგაზრდა და შესაბამისად სათადარიგო იყო. რაც თქვენი ნაკრების მწვრთნელად დავინიშნე, განვლილი ციკლის მატჩების ყველა ვიდეოჩანაწერი ვნახე და გარკვეული შთაბეჭდილება შევიქმენი, რომელსაც მომავალ ერთ თვეში ვსრულყოფ და მერე ოფიციალური მატჩებიც დაიწყება.

**— როგორი იყო თქვენი პირველი შთაბეჭდილება საქართველოს ნაკრებში?**

— პირველი, რაც დავინახე, უდიდესი მონდომებაა. ყველა გულით უდგება საქმეს და გუშინდელ ვარჯიშთან შედარებით, პროგრესიც არის. მონდომება აუცილებელია, მაგრამ წარმატებისთვის სხვა რამეც არანაკლებ საჭიროა. საქმეს გონებით უნდა მიდგომა და აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ ყველა მოთამაშისგან მაქსიმუმი გამოვწურო. აღმოვაჩინო მათი დადებითი მხარეები და დავეხმარო, რომ თავიანთი შესაძლებლობები ნაკრებს მაქსიმალურად მოახმარონ. მე ვერ ვიქნები ნაკრების ლიდერი, თამაშები მოედანზე მყოფმა ბიჭებმა უნდა მოიგონ. მე მათ ვანახებ სწორ გზას და ვნახოთ, რამდენად კარგად შეასრულებენ დავალებას. ჩემი მიზანი არ არის მოგებული და წაგებული თამაშების თვლა. მთავარია, წინსვლის პროცესი არ შეჩერდეს, ნაკრებმა თავისი მაქსიმუმი აჩვენოს და მჯერა, ყველა თამაშს მოვიგებთ.

**— თქვენს წინამორბედს დისციპლინის ნაკლებობას უწუნებდნენ და თქვენ როგორ უდგებით ამ საკითხს?**

— მე ერთი რამე ვიცი: თუკი მოთამაშე აქაა, ჩვენთან ვარჯიშობს და ბოლომდე გათავისებული აქვს, რომ ის საკუთარი სამშობლოს ღირსების დამცველია, ის არ დაარღვევს დისციპლინას. დარწმუნებული ვარ, რომ ამ მხრივ პრობლემები არ შემექმნება, ჯერჯერობით ამის ვერანაირ საფრთხეს ვერ ვხედავ.

**— შეკრებაზე მყოფები კარგი, მაგრამ დავუშვათ, ვინმემ დააგვიანა ჩამოსვლა, ასეთი შემთხვევები ბლომად ახსოვს ჩვენს ნაკრებს...**

**— სხვათა შორის, ფედერაციის წარმომადგენლებმა თქვეს, რომ ეს არის უნიკალური შემთხვევა, როცა დათქმულ დროს ასე ბევრი მოთამაშე ცხადდება ნაკრების შეკრებაზე.** 3 აგვისტოს ვლადიმერ ბოისა ჩამოდის, 4-ში ტაირონ ელისი და 5 აგვისტოდან სრულფასოვან შეკრებას ვიწყებთ. ერთადერთი, ზაზა ფაჩულია არ იქნება, რომელსაც არაერთხელ ველაპარაკე და შევთანხმდით, რომ 17 აგვისტომდე არ ჩამოვა.

**— მიზეზი?**

— მან მითხრა, რომ პირადი პრობლემები აქვს და მე უფლებას არ ვაძლევ ჩემს თავს, სხვის ოჯახურ საქმეებში დავიწყო კირკიტი. რაკი თქვა, ესე იგი, რაღაც ხდება და მე ვუთხარი, რომ 17 აგვისტომდე გათავისუფლებ მეთქი.

**— 17-შიც რომ არ ჩამოვიდეს?**

— დღეს მე არ მაქვს იმაზე სანერვიულო, რომ ფაჩულია 17-ში არ ჩამოვა. შევთანხმდით, რომ ის აქ იქნება დათქმულ დროს. სხვას ვერაფერს ვიტყვი, სანამ ზაზა გათავისუფლებულია.

**— როგორ იქნება იმ კანდიდატთა საქმე, რომლებიც ახლა ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში თამაშობენ ევროპის ჩემპიონატზე?**

— მე აუცილებლად ვნახავ ყველა კანდიდატს. მოუთმენლად ველი ასაკობრივ ნაკრებების მწვრთნელთა შეფასებებს. ერთი სიტყვით, ისევე როგორც ყველას, ახალგაზრდებსაც მიეცემათ შანსი.

**— დაბოლოს, ჩვენს საკვალიფიკაციო მეტოქეებზე გკითხავთ: რომელი მიგაჩნიათ ყველაზე სერიოზულ მოწინააღმდეგედ?**

— საერთოდ, გამორჩევას ვერიდები, ყველა მეტოქესთან ერთნაირი მობილიზებით უნდა ითამაშო, მაგრამ მაინც მგონია, რომ მთავარი მეტოქე შვედეთი და სლოვაკეთია. კარგია, რომ ციკლის შედარებით სუსტი ლუქსემბურგით ვიწყებთ.

**ირაკლი პერტაია**






# ქართული ახალგაზრდული თურქული შხაპით დაიწყო

**საქართველო 51:69 თურქეთი**
*9:14 14:17 14:16 15:22*

**საქართველო:** შერმადინი (20), შენგელია (8), გულისაბედაშვილი (6), მათიაშვილი (5), ფაცაცია (4), გაფრინდაშვილი (4), ცეკვავა (3), ჯგერენაია (1), წივწივაძე, პირველაშვილი

**გუშინ** საქართველოს კალათბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა რიგაში ევროპის ჩემპიონატზე თურქეთის ნაკრებთან ითამაშა და, სამწუხაროდ, უშანსოდ, 18 ქულის სხვაობით წააგო.

დავით უსტიაშვილის ნაკრების საევროპო მიზანი 16 საუკეთესო ნაკრებს შორის მე-14 ადგილის დაკავება და A დივიზიონში ადგილის შენარჩუნებაა.

თურქეთთან თამაშს თავიდანვე ვერ ეთქმოდა საჩვენო, უსტიაშვილის კალათბურთელებმა პირველი პერიოდი თუ 5 ქულით წააგეს, მერე და მერე ანგარიში კიდევ უფრო იზრდებოდა და ტაიმი 23:31 დავთმეთ. მცირე გამოცოცხლება მესამე პერიოდის დასაწყისში შეინიშნებოდა, როდესაც ანგარიში სამ ქულამდე შემცირდა (28:31), მაგრამ აქედან მოყოლებული დარჩენილი დრო თურქთა კარნახით წარიმართა. ქართველები არათუ ანგარიშის გათანაბრებას, შემცირებასაც ვერ ახერხებდნენ და თურქებს ერთხელაც არ მისცემიათ ანერვიულების საბაბი...

დღეს უკვე საქართველო — იტალიაა და ბევრი რამ აქ უნდა გაირკვეს. მარცხის შემთხვევაში დარჩენილი ერთი თამაში ისრაელთან აუცილებლად მოსაგები გვექნება, რომ საქმე არ გავირთულოთ, რადგან ჯგუფში ბოლო ადგილზე გასვლის შემთხვევაში ელიტაში დასარჩენად უფრო გრძელი გზის გავლა მოგვიწევს.

ოთხივე ჯგუფის უცუდესი ნაკრებები პლეი ოფით იმ ორ ნაკრებს გამოავლენენ, რომლებიც ელიტას ხელს დაუქნევენ...

**ლექსო მაისურაძე**

# კადეტებმა ფინეთს კარი უნდა გაუჯახუნონ

**საქართველო 75:69 ბელარუსი**
*19:20 15:15 19:16 22:18*

**საქართველო:** შარაბიძე (25), მაისურაძე (14), შენგელია (11), ტომარაძე (7), ჩაჩიბაია (6), ჯგერენაია (6), ლომაური (2), თავართქილაძე (2), ძიძიგური (1), ჩიკვილაძე (1)

**საქართველოს** ჭაბუკთა ნაკრებს ელიტაში მოსახვედრ ბრძოლაში ხელი მოეცარა და მე-9 — მე-16 ადგილებისთვის თამაში განაგრძო, სადაც რუმინეთთან მარცხის შემდეგ ბელარუსის ნაკრებთან ხასიათი ცოტა გამოიკეთა. არადა, დასაწყისს საჩვენო ვერაფრით ეთქმოდა. პრველი პერიოდი ერთი ქულით წააგეს და ვერც მეორეში მოახერხეს თამაშის სადავეების ხელში ჩაგდება.

აი, მეორე ტაიმიდან კი გამოცოცხლდნენ ჩვენები და ეს მეტწილად გიორგი შარაბიძის დამსახურებაა, ვინც პირველ თამაშებში ხუთეულში ვერ ხვდებოდა და ცოტა სათამაშო დრო ეძლეოდა.

როგორც ჩანს, მიხეილ კობეშავიძე ყველას აძლევს თავის გამოჩენის საშუალებას, რადგან დასაკარგიც არაფერია. გიორგიმ ჯერ რუმინელებს ჩაუგდო 16 ქულა, ახლა კი ბელარუსებს დაატეხა 25 ქულა და ჩვენების გამარჯვებაში თავისი ომახიანი სიტყვა თქვა.

ახლა ქართველებს ერთი თამაშიღა დარჩათ ფინეთთან, რომელმაც აქამდე უკვე მოგვიგო და ელიტისკენ კარი ჩაგვიკეტა. იქნებ ჩვენმა ჭაბუკებმა კარის გამოჯახუნება და რევანში ერთი სანუგეშო მოგებით გააზერხონ...

**ლექსო მაისურაძე**



# შოტლანდიელებმა თბილისიდან თბილი მესიჯი გაიყოლეს

**საქართველოს** მორაგბეთა ნაკრების ბოლოდროინდელმა წარმატებებმა მსოფლიოს ბობოლა სარაგბო ქვეყნები დააინტერესა ქართული რაგბით. უკვე კარგა ხანია, რაც IRB-ისა და საქართველოს რაგბის კავშირს შორის კონსულტაციები მიმდინარეობს ქართული რაგბის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენს ქვეყანაში რაგბის განვითარების სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება სანაკრებო დონის ამაღლებაა, რაც თავისთავად იმას ნიშნავს, რომ ჩვენმა ბორჯღალოსნებმა ინტენსიურად უნდა გამართონ ტესტ-მატჩები მსოფლიოს მაღალრეიტინგიან ნაკრებებთან.

გრანდებიდან პირველად 2001 წელს ეწვივნენ საქართველოს სამხრეთ აფრიკისა და საფრანგეთის A ნაკრებები.

2004 წლის ივნისში თბილისში IRB-ის სპეციალური მისიით 10 დღეს იმყოფებოდა სამხრეთული საკლუბო რაგბის ერთ-ერთი ტიტანი, ზე-14-ის ჩემპიონი პრეტორიის „ბლუ ბულზი“. სამხრეთაფრიკელებმა საქართველოში ჩაატარეს სემინარები, ერთობლივი საჩვენებელი ვარჯიშები, გამართეს შეხვედრები თბილისის ნაკრებთან, A და ეროვნულ ნაკრებებთან. 2006 წლის ივნისში საქართველოში „ბარბაროსები“ ჩამოვლენ, რაგბიში ჩახედულებს კი კარგად მოეხსენებათ, ეს რამხელა პატივი და დაფასებაა სარაგბო სამყაროს მხრიდან.

წლეულს საქართველოს რაგბის კავშირს დაგეგმილი აქვს ორი მაღალი დონის ტესტ-მატჩის გამართვა. სავარაუდოდ, ნოემბერში ჩვენი მეტოქენი შოტლანდიისა და საფრანგეთის A ნაკრებები იქნებიან. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით 31 ივლისს ორდღიანი ვიზიტით ჩამოვიდნენ თბილისში შოტლანდიის ეროვნული და A ნაკრებების მენეჯერები გაი რიჩარდსონი და კერენ ბარნეტი. სტუმრებმა დაათვალიერეს სტადიონები, შეისწავლეს სამწვრთნელო და სავარჯიშო პირობები და გამგზავრების წინ რაგბის კავშირში გამართეს პრესკონფერენცია, რომელზეც თავიანთ შთაბეჭდილებებზე ისაუბრეს.

*გაი რიჩარდსონი:* პირველ რიგში, მინდა, გითხრათ, რომ მოხარული ვარ საქართველოში ყოფნით. მადლობას გიხდით გულთბილი მიღებისთვის. რაც შეეხება ჩვენი ვიზიტის მიზეზებს, პირველ რიგში, ჩვენ აქ რაგბის განვითარების გამო ვართ. საქართველო რეიტინგში მე-14 ადგილზეა, ეს კი დიდი მიღწევაა იმ რესურსების გათვალისწინებით, რაც თქვენ გაგაჩნიათ. ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე თქვენმა ქვეყანამ მთლიანად სარაგბო სამყაროს შეაყვარა თავი. პოპულარულები გახდით და ამიტომ ბუნებრივია, რომ ქართული რაგბის მიმართ ინტერესი გაიზარდა. შოტლანდია და საქართველო კი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ორივე პატარა ერი ვართ. ყოველთვის ამაყად და შემართებით ვიბრძვით დიდი ქვეყნების წინააღმდეგ. გვარიანი ოფლის ღვრა გვიწევს შედეგის მისაღწევად. შოტლანდიის და საქართველოს დაახლოება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იგი ორივე ქვეყანაში შეუწყობს ხელს რაგბის განვითარებას. ჩვენ დავათვალიერეთ მოედნები. შევამოწმეთ სავარჯიშო პირობები. ცალსახად მინდა განვაცხადო, რომ კმაყოფილები მივდივართ და ჩემს ქვეყანაში დადებითი მესიჯი მიმაქვს. არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას მიიღებს შოტლანდიის რაგბის კავშირი, ან საერთოდ, ჩატარდება თუ არა ეს ტესტ-მატჩი, მაგრამ მე არა მარტო შოტლანდიელებს, არამედ სხვა ქვეყნების სარაგბო წარმომადგენლებსაც მოვუყვები ქართული რაგბის შესახებ.

— რამდენად რეალურია, რომ მალე საქართველოს ნაკრებმა შოტლანდიის ეროვნულ ნაკრებთან ითამაშოს?

— ნოემბერში შოტლანდია მსოფლიოს რეიტინგში მე-15 ადგილზე მყოფ კანადას შეხვდება. ვფიქრობ, რომ საქართველო-შოტლანდიის მატჩი შორეული პერსპექტივა არ არის.

*ბოლოს A ნაკრების მენეჯერს კერენ ბარნეტს ნოემბერში გუნდის სავარაუდო შემადგენლობის შესახებ ვკითხეთ. ანუ გვაინტერესებდა, თუ რამდენად ძლიერ გუნდს ჩამოიყვანდა შოტლანდიური მხარე.*

*კერენ ბარნეტი:* იმ პერიოდში, როცა ჩვენ ერთმანეთში თამაშს ვაპირებთ, ევროპულ ნაკრებსაც აქვს ტესტ-მატჩები. სავარაუდოდ, საქართველოში ის პროფესიონალი მორაგბეები ჩამოვლენ, რომლებიც ძირითად გუნდში ვერ მოხვდებიან, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ შოტლანდიის A ნაკრები ბევრით არ ჩამოუვარდება ეროვნულ გუნდს.

**ზურაბ მიგრიაული**



# ქვაცაბაიას მაროკოული ფინალი
## შაფათავას დნეპროპეტროვსკი დაუმოკლდა




**მაროკოს** ქალაქ საბატაში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე ქართველი სოფო ქვაცაბაიას და რუსი აუგუსტა ციბიჩევას ტანდემმა ზედიზედ სამი თამაში მოიგო და ფინალსაც უწია. ქართულ-რუსულმა დუეტმა ნახევარფინალში ბელგიელების — მაერგაერტის და ნოუის წყვილს მოუგო. ფინალში ქვაცაბაია-ციბიჩევას მაროკოელი ელ ალმანი და იტალიელი საბინო დაუპირისპირდებიან. მაროკოული ტურნირის საპრიზო ფონდი 10 ათასი აშშ დოლარია.

დნეპროპეტროვსკში კი დასასრულს უახლოვდება ტურნირი, სადაც ქართველი ჩოგბურთელი სოფო შაფათავა მერვედფინალიდან გამოითიშა. სოფომ პირველ რაუნდში სლოვაკ ვიენერიოვას კი მოუგო, მაგრამ შემდეგ უკვე ბელარუს ეკატერინა ზეჰალევიჩთან დამარცხდა — 1:6 4:6.

უკრაინული ტურნირის საპრიზო ფონდი 50 ათასი აშშ დოლარია.

**ზურაბ მიგრიაული**



# ჩვენმა ბრაზილიამ იმათ ბრაზილიას...

**ავსტრიაში** პლაჟის ფრენბურთში მიმდინარე „დიდი სლემის“ ტურნირზე, რომელიც პეკინის ოლიმპიადის წინ ბოლო შეჯიბრია, ჩვენი ბრაზილიელებიც კარგად ჩაუქრბენ.

საქამ და რთველომ, ვინც საპეკინო ლიცენზიას ბოლოსდა გამოჰკრა ხელი მწვანე კონტინენტზე გვარიანად ხმაურიანი ამბები დაატრიალა და სახელიანი გოგონების დამარცხების შემდეგ ნახევარფინალში გავიდა.

ჩვენებურებმა ჯგუფში თანამემამულეებთან, ჯულიასთან და ლარისასთან ბოლო თამაში კი წააგეს, მაგრამ მომდევნო ეტაპზე მაინც გავიდნენ, სადაც ჯერ ასევე ბრაზილიელები, მე-3 ნომრად განთესილი ანტონელი-ლარჯოს წყვილი დაამარცხეს, მერე კი ბელგიური ვან ბრეედამისა და მუხას დუეტი.

ნახევარფინალში გადასასვლელად თამაში კი ოფლის დაუღვრელად მოიგეს, რაკილა ჯულიანა და ლარისა, ვისთანაც ჯგუფური თამაში წააგეს, ტრავმის გამო ვერ გამოცხადდნენ.

**ლექსო მაისურაძე**

# როჯერ ფედერერი პირველობას კარგავს



**კაცები**

მასტერსი. ცინცინატი. აშშ. ჰარდი. საპრიზო 2 615 000 $

**მეორე წრე**

კარლოს მოია (ესპანეთი) — ნიკოლაი დავიდენკო (4, რუსეთი) 7:6 4:6 6:2

**მესამე წრე**

ივო კარლოვიჩი (ხორვატია) — როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) 7:6 4:6 7:6; რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — ტომი ჰაასი (გერმანია) 6:4 7:6; ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) — ანდრეას სეპი (იტალია) 6:1 6:2; ერნესტ გულბისი (ლატვია) — ჯეიმს ბლეიკი (7, აშშ) 6:4 1:6 6:3; ენდი მიურეი (8, ბრიტანეთი) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 6:3 6:3; ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — ფერნანდო ვერდასკო (10, ესპანეთი) 6:3 7:5; ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 7:6 5:7 7:6; კარლოს მოია (ესპანეთი) — იგორ ანდრეევი (რუსეთი) 6:4 7:6

**ქალები**

მონრეალი. კანადა. ჰარდი. საპრიზო 1 340 000 $

**მესამე წრე**

ტამირა პაშეკი (ავსტრია) — ანა ივანოვიჩი (1, სერბეთი) 6:2 1:6 6:2; ელენა იანკოვიჩი (2, სერბეთი) — სტეფანი დუბუა (კანადა) 6:3 6:2; სვეტლანა კუზნეცოვა (4, რუსეთი) — მიშელ ლარშერ დე ბრიტო (პორტუგალია) 7:5 2:6 6:4; დინარა საფინა (7, რუსეთი) — პატი შნიდერი (9, შვეიცარია) 6:2 6:2; მარიონ ბარტოლი (10, საფრანგეთი) — ანა ჩაკვეტაძე (6, რუსეთი) 4:6 7:5 7:6; ვიქტორია აზარენკა (11, ბელარუსი) — ვირჯინი რაზანო (საფრანგეთი) 7:6 2:0 (უარი); დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) — ნადია პეტროვა (12, რუსეთი) 7:6 6:2; აი სუგიამა (იაპონია) — მარია შარაპოვა (3, რუსეთი) უარი

კვირას საჩოგბურთო სამყარო შეიძლება ყირაზე დადგეს. როჯერ ფედერერმა, რომელიც მსოფლიოს პირველი ჩოგანია აგერ უკვე ოთხწელიწადნახევარის განმავლობაში (ანუ 2004 წლის 4 თებერვლიდან), დიდი შანსია თავისთვის ნაჩვევი ადგილი დაკარგოს. ყოველ შემთხვევაში თავად ალპელზე არაფერია დამოკიდებული — ყველაფერი უკვე რაფაელ ნადალის ხელშია.

ესპანელს, რომელიც შვეიცარიელის 235 კვირიანი ბატონობის ეპოქიდან უკვე 158 კვირაა ფედერერს კვალში უდგას, სამი მოგებაღა აშორებს წლების განმავლობაში ნალოლიავები ოცნების ასრულებამდე. და მალიორკელის სასწაული ფორმიდან გამომდინარე ეს ძალიან რეალურად ჩანს.

ისე კი გუშინ მომხდარზეა ნათქვამი — კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. დარწმუნებით ვაცხადებდით ალპელს არ უნდა გაუჭირდეს თავისი პოზიციის შენარჩუნება, რადგანაც საამისოდ ნახევარფინალში გასვლა ესაჭიროება და ენდი როდიკის ტრავმის შემდეგ სერიოზული მეტოქე აღარ დარჩაო. მაგრამ ჩვენც ვიჩქარეთ და ეტყობა ფედერერმაც ნაადრევად დაიმშვიდა თავი. ალპელის ბოროტი გენიის კი როლი აყლაყუდა ივო კალროვიჩმა შეასრულა.

ამ შეხვედრაში ნათლად გამოჩნდა თუ რამდენად მოუკლო ფედერერმა თუნდაც შარშანდელთან შედარებით. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ალპელი თავის თავის აჩრდილიღაა, როგორც წმინდა საჩოგბურთო, ისე ფსიქოლოგიური მზადყოფნის კუთხით. ასე რომ არა, აბა კარლოვიჩის მაგვარ ერთფეროვან და შეზღუდულ ჩოგბურთელს ფედერერისთვის რა უნდა დაეკლო — შვეიცარიელი ხომ ხორვატსა და მისნაირ მეჩოგნეებს ერთი ამოსუნთქვით, ყოველგვარი პრობლემისა და წვალების გარეშე უმკლავდებოდა ხოლმე. ამის დასტურად საკმარისია მათ წინა შეხვედრებს გადავავლოთ თვალი, როცა როჯერმა შვიდჯერ წააქცია გოლიათი ბალკანელი და მთლიანობაში მხოლოდ კინკილა სეტი დაუთმო.

მაგრამ დღეისთვის ფედერერს აღარ აქვს ძველებური დაუმარცხებლობის აურა და აღარც შესაბამისი თვითრწმენა, რის გამოც მას უკვე კარლოვიჩთანაც უჭირს ფონს გასვლა. გუშინ თითქოს ალპელს თვალშისაცემი შეცდომები არ დაუშვია — მაგალითად, თავისი მოწოდება ერთხელაც არ დაუთმია, მაგრამ ამის მიუხედავადაც წააგო. ეს კი იმიტომ, რომ ფედერერი უკვე საშუალო, ყველასთვის მისაწვდენ დონეზე თამაშობს და აღარ აჩვენებს იმ სუპერ-ჩოგბურთს, რომელიც მას წლების განმავლობაში პანტა-პუნტით ამარხცებინებდა ყველა რანგისა და სტატუსის მეტოქეებს.

აი, ნადალი კი მიქრის თავისი ოცნებისკენ და ტემპის დაგდებას არ აპირებს. გუშინ ესპანელმა ძალიან წყნარად, დამაჯერებლად და აუღელვებლად დასცა ტომი ჰაასი და ახლა მეოთხედფინალში ნიკოლას ლაპენტისთან ელის რანდევუ. ესპანელს ახლა მთავარ დაბრკოლებად ნოვაკ ჯოკოვიჩიღა დარჩა, რომელსაც რაფა სავარაუდოდ ნახევარფინალში უნდა დაეტაკოს. სერბი კი თავისთვის უიღბლო ტორონტოს მასტერსის შემდეგ ცინცინატიში აშკარად უმატებს და გუშინ უბრალოდ გაბრდღვნა არცთუ ურიგო მეტოქე ანდრეას სეპი.

უნდა აღნიშნოს კარლოს მოიას გმირობაც. ვეტერანმა ესპანელმა გუშინ მართლაც სასწაული მოახდინა, რადგანაც ორი მატჩის ჩატარება მოუწია თაკარა მზის ქვეშ, მაგრამ ასაკის მიუხედავად დატვირთვას მაინც გაუძლო და ორივეში იხეირა. თანაც პირინეელმა ორივეჯერ რუსები გაამწარა — ჯერ ნიკოლაი დავიდენკო [illegible], ორიოდ საათში კი მას იგორ ანდრეევიც მიაყოლა.

დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი ქალთა ჩოგბურთშიც, სადაც კვირის ბოლოს ასევე შეიძლება შეიცვალოს პირველი ჩოგნის ვინაობა. მართალია, ანა ივანოვიჩი ფედერერივით დიდ ხანს არ ნებივრობს რეიტინგის მწვერვალზე — იქ მხოლოდ ორიოდ თვის წინ ავიდა, მაგრამ ალბათ უკვე მოუწევს პოზიციის დათმობა. ანამ 17 წლის ტამირა პაშეკთან წააგო და მონრეალში მეოთხედფინალსაც ვერ უწია.

სერბი ლამაზმანის ადგილს კი ახლა თანამემამულე ელენა იანკოვიჩი ემუქრება — საკმარისია, ამ უკანასკნელმა კანადაში ფინალში გააღწიოს და რეიტინგის სათავეშიც მოექცევა.

ამასობაში კი ერთი ძალიან ხმაურიანი ინფორმაციაც გავრცელდა — გუშინ ვიუწყებოდით, რომ მარია შარაპოვამ მხრის ტრავმის გამო მონრეალიდან აბარგება გადაწყვიტა იმ იმედით, რომ ოლიმპიადისთვის ჯანზე მოსვლას მოასწრებდა. თუმც დაზიანება იმაზე სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ამას თავად მაშა ფიქრობდა. რუსმა პრიმამაც თავისი ოფიციალური საიტის მეშვეობით ყველას აცნობა, რომ პეკინში ჩასვლას ვერ შეძლებს.

ეს ოლიმპიადის პირველი სერიოზული დანაკლისია, რომელიც ტრავმითაა გამოწვეული. აქამდე პეკინში ჩასვლა ენდი როდიკმა და ამელი მორესმომაც იუარეს, თუმც მათი გადაწყვეტილება ნებაყოფლობითი იყო — მათ თავად არ ისურვეს აზიაში გამგზავრება.

**ბაჩა ლომაშვილი**



რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№1 საავტომობილო ზეთი

# ნელი და ჭუჭყიანი ჰუნგარორინგი

**„ჰუნგარორინგი“** იმ ტრასათა კატეგორიას განეკუთვნება, „სამეფო მრბოლელებს“ დიდად გულზე რომ არ ეხატებათ. ამას თავისი, საკმაოდ რეალური მიზეზები აქვს — უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტიდან 20 წუთის სავალზე მდებარე ტრეკი უაღრესად ნელია. თანაც ქარს მუდმივად მოაქვს მტვერი და გზის საფარი მუდმივად ჭუჭყიანია. ეს, განსაკუთრებით, სასტარტო მონაკვეთს ეხება, სადაც ის მრბოლელები, რომლებიც წყვილი ნომრებით იღებენ სტარტს, უაღრესად ცუდ პირობებში იმყოფებიან.

ჭუჭყიანი და ნელი ტრასა, სადაც გასწრება, პრაქტიკულად, შეუძლებელია და ამას დაამატეთ აუტანელი სიცხე, რომელიც ტრადიციულად თან სდევს ხოლმე აგვისტოს პირველ რიცხვებში გასამართ რბოლას და მიხვდებით, რატომ არ უყვარს ბევრ პილოტს უნგრეთის დიდი პრიზი, რომელიც პირველი ფორმულის კალენდარში 1986 წლიდან არის.

პირველი და მეორე უნგრული ეტაპები ბრაზილიელმა სამგზის ჩემპიონმა ნელსონ პიკემ მოიგო „უილიამს-ჰონდათი“. შემდეგ „უილიამსმა“ ტიერი ბუტსენის (1990), დეიმონ ჰილისა (1993,1995) და ჟაკ ვილნევის (1996-97) ძალისხმევით კიდევ ხუთჯერ იმარჯვა „ჰუნგარორინგზე“ და ჯამში შვიდი უნგრული ტრიუმფი დააგროვა. შვიდი უნგრული გამარჯვებაა მეორე ბრიტანული საჯინიბოს, „მაკლარენის“ ანგარიშზეც. „მაკების“ სახელით „ჰუნგარორინგზე“ სამჯერ ლეგენდარულმა ბრაზილიელმა აირტონ სენამ იმარჯვა (1988, 1991-92), ორჯერ ფინელი მიკა ჰაკინენი იყო პირველი (1999-2000), 2005 წელს ყველას კიმი რაიკონენმა აჯობა, შარშან კი ლუის ჰემილტონის ჯერი დადგა.

„სკუდერია ფერარი“ ხუთი უნგრული ტიტულით იწონებს თავს — 1989 წელს ბრიტანელმა ნაიჯელ მენსელმა აჯობა ყველას, 1998, 2001 და 2004 წლებში სამი ტრიუმფი დიადმა მიხაელ შუმახერმა გადაიხადა, 2002 წელს კი რუბენს ბარიკელომ იმარჯვა.

„უილიამსის“, „მაკლარენისა“ და „ფერარის“ გარდა, უნგრეთში თითო გამარჯვება „ბენეტონს“ (მიხაელ შუმახერი 1994 წელს), „რენოს“ (ფერნანდო ალონსო, 2004) და „ჰონდას“ (ჯენსონ ბატონი, 2006) აქვთ მოპოვებული.

მარტივი დათვლით გამოდის, რომ პილოტებიდან ყველაზე მეტი, ხუთი უნგრული გარმაჯვება მიხაელ შუმახერმა მოიპოვა, ხოლო მოქმედი მრბოლებიდან „ჰუნგარორინგზე“ ბარიკელოს, ალონსოს, რაიკონენს, ბატონსა და ჰემილტონს უმარჯვიათ.

ზემოთ სიცხე ვახსენეთ და შარშანწინ, როდესაც ინგლისელმა ჯენსონ ბატონმა კარიერის პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი გამარჯვება მოიპოვა, კოკისპირულად წვიმდა და რბოლის შედეგები პროგნოზების არანაირ ჩარჩოში არ ჩაჯდა.

პროგნოზების გაკეთება ახლაც ჭირს, რადგანაც, მონტე კარლოს ქუჩებისა არ იყოს, „ჰუნგარორინგზეც“ ძალზე ბევრი რამ კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული და მაინც, ფავორიტი ალბათ ჰემილტონია — ჯერ ერთი იმიტომ, რომ ინგლისელმა მრბოლმა და მთლიანად „მაკლარენმა“ ბოლო ხანებში ძალიან მოუმატეს და მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი ის არის, რომ ნელ ტრასებზე „მაკები“ „ფერარიზე“ უკეთ გამოიყურებოდნენ.

**ბაჩა ლომაძე**

**მეთერთმეტე ეტაპი** **უნგრეთის დიდი პრიზი**

**ჰუნგარორინგი**

*ბუდაპეშტი, 3 აგვისტო*




**ტრასის სიგრძე** ---------- 4.381 კმ
**რბოლის დისტანცია** ---------- 70 წრე – 306.670 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 16-00 საათზე*

**შარშანდელი შედეგები**

1. ჰემილტონი (მაკლარენი); 2. რაიკონენი (ფერარი); 3. ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი); 4. ალონსო (მაკლარენი); 5. კუბიცა (BMW-ზაუბერი); 6 რ. შუმახერი (ტოიოტა); 7. როსბერგი (უილიამსი); 8. კოვალაინენი (რენო)

**წრის რეკორდი**: 2004 — მ.შუმახერი (ფერარი) 1:19.071

# ორმაგი თამაში









*ძნელი სათქმელია, კონკრეტულად რომელ საუკუნეში დაკარგა სპორტმა გართობის სახე და იქცა სამუშაოდ, მაგრამ ისიც ნათელია, რომ ჩვენს დროში ის ბევრად მეტ შრომასა და ძალდატანებას ითხოვს, ვიდრე თუნდ გასული საუკუნის 50-იან წლებში. სპორტსმენები ადრეული ბავშვობიდან იწყებენ რაიმე სახეობაზე სპეციალიზირებას და მთელი აქტიური პერიოდი მას ახმარენ ძალ-ღონესა და ცოდნა-ოსტატობას.*

*მაგრამ დღესაც შეიძლება ერთგვარი უნივერსალების ნახვა. არიან ისეთებიც, რომლებმაც სახელი ერთ სახეობაში გაითქვეს და მერე თავი მეორეშიც „მოსინჯეს" მსგავსად ბრიტანელ მორბენალ დუეინ ჩამბერსისა, რომელმაც მძლეოსნობაში მიღებული დისკვალიფიკაციის მ*

*ოხდის შემდეგ რაგბის თამაში დაიწყო. გთავაზობთ ჩვენი დროის ყველაზე ცნობად „ორმაგ მოთამაშეებს" და თავად შეაფასეთ, შეუძლია თუ არა ადამიანს ორ საქმეში ფეხის მოკიდება და წარმატების მიღწევა*

### მაიკლ ჯორდანი
### (კალათბურთი – ბეისბოლი)

კალათბურთის ღმერთად წოდებულმა ჯორდანმა 30 წლისამ მიაღწია ყველაფერს და მოტივაციის სრულიად ამოწურვის შემდეგ დიდების ზენიტში მყოფმა გადაწყვიტა კალათბურთიდან წასვლა (როგორც მერე გაირკვა, დროებით). საყვარელი საქმისგან თავისუფალი წელიწადნახევარი მან სხვა მოწოდების ძიებაში გაატარა და მოიმარჯვა ბეისბოლის კეტი, რომელსაც სკოლის წლებიდან იცნობდა, თანაც განსვენებული მამამისი მუდამ ოცნებობდა შვილის მეიჯორ ლიგაში ხილვაზე.

ბევრს ნახავ ჯორდანისებრ იდეალურ სპორტსმენს? 198 სანტიმეტრი სიმაღლე, 97 კილო წონა, მოქნილი, ღონიერი და გონიერი... მაგრამ მისგან მაინც ვერ გამოვიდა კარგი ბეისბოლისტი. „ჩიკაგო რედ სოქსმა" თავიდან დიდი ზარზეიმით აიყვანა გუნდში, მაგრამ მაიკლს უდიდესმა მოთმინებამ და შრომისმოყვარეობამაც ვერ უშველა, იგი მოწოდების მხოლოდ 20 პროცენტს იგერიებდა და მალევე გაუშვეს ფარმ-კლუბში. რამდენიმე თვეში კი ის იმ საქმეს დაუბრუნდა, რაშიც მართლა საუკეთესო იყო.

### დონალდ ტომასი
### (კალათბურთი – მძლეოსნობა)

ეს კალიასავით ხტუნია ყმაწვილი მძლეოსნობაში მივიდა ფაქტობრივად არსაიდან, უფრო ზუსტად კი კალათბურთიდან. ბაჰამის კუნძულებზე გაიზარდა, ტელევიზორში ნბა-ს სუპერვარსკვლავებს უცქერდა და თავადაც თამაშობდა, მაგრამ როცა დრო დაუდგა, ამერიკის სტუდენტურ ლიგაში ვერ წავიდა და მის კალათბურთელობასაც ყავლი გაუვიდა, მხოლოდ ფარში ჩატენვებით თუ ერთობოდა, მერე კი მეგობარ მძლეოსნებს დაენიძლავა, თქვენზე მაღლა ავხტებიო და, ჰოი, საოცარლო, პირველივე ჯერზე 2,22 მეტრს გადაევლო. ერთ წელიწადში ტომასმა კიდევ 15 სანტიმეტრი მოუმატა და შარშან ოსაკაში 2,36 მეტრის დაძლევით მსოფლიოს ჩემპიონიც კი გახდა შტეფან ჰოლმთან და იური რიბაკოვთან შეჯიბრში.

### კატერინა ნოიმანოვა
### (თხილამურობა – მაუნტბაიკი)

ჩეხი მოთხილამურე დიდხანს ებრძოდა რუსი ქალების „სინდიკატს" — ლარისა ლაზუტინას, ოლგა დანილოვას, ელენა ვიალბეს და ნინა გავრილიუკს. მათთან შეჯიბრში მრავალი მედალი მოიპოვა, მაგრამ მათგან არცერთი არ იყო ოქროსი. გაღიზიანებამ და იმედგაცრუებამ, აგრეთვე მკერდზე ოლიმპიური ოქროს დაკიდების უდიდესმა სურვილმა კატერინა ნოიმანოვა გიჟმაჟ მაუნტბაიკერთა შორის მიიყვანა. თოვლის ვერშემდგარი დედოფალი მშრალ მთებზე ველოსიპედით დამშვებ თავზეხელაღებულთა ნაკრებში მოხვდა და 1996 წლის ატლანტაში ამ ექსტრემ სახეობის ოლიმპიურ პრეზენტაციაშიც გამოვიდა, მაგრამ... მხოლოდ მე-18 ადგილი შეხვდა.

ნოიმანოვამ მაინც აისრულა გულისწადილი და გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, მაგრამ ჯორდანის დარად ისევ და ისევ მშობლიურ სახეობაში. მან შვილიც გააჩინა, შემდეგ კი თხილამურობას დაუბრუნდა და ბოლოს და ბოლოს რუსულ კომპლექსსაც სძლია — 2006 წლის ტურინის ზამთრის ოლიმპიადაზე 30 კილომეტრზე თხილამურებით სირბილში იულია ჩეპალოვასთან ხასოწარკვეთილ საფინიშო ბრძოლაში მოიპოვა ოქროს მედალი, მერე კი ვალმოხდილმა და სავსებით დაკმაყოფილებულმა მიაყუდა სველი თხილამურები კედელზე.

### კასპარას კამბალა
### (კალათბურთი – კრივი)

ნარკოტიკებთან გაშინაურებულ ლატვიელ კალათბურთელ კასპარას კამბალას წლეულს გასდის ორწლიანი დისკვალიფიკაციის ვადა, მაგრამ საკითხავია, მოინდომებს თუ არა მოედანზე დაბრუნებას. სახელიან გუნდებში — „რეალში", „ეფეს-პილზენში", „უნიქსსა"და „ფენერბახჩეში" ნათამაშები ბულასავით ღონიერი მობურთალი სერიოზულად გაიტაცა კრივმა. მართალია, პირველად 29 წლისამ წამოიცვა მუშტებზე ხელთათმანი, მაგრამ პროფესიულ რინგზე მძიმე წონაში ორი ბრძოლა გამართა, რომელთაგან ერთი მოიგო და მეორე ფრეთი დაასრულა. ლას ვეგასის უნივერსიტეტის გუნდში ამერიკის სტუდენტურ ლიგაში რომ თამაშობდა, საკრივო მწვრთნელი რიჩარდ სტილი 208-სანტიმეტრიან ლატვიელს ჯერ კიდევ მაშინ შეუჩნდა, ჩვენთანაც მოსინჯე ძალაო. სტილი ახლა მისი პირადი მწვრთნელია და თვლის, რომ კამბალას დიდი საკრივო მომავალი აქვს. მერე რა, რომ მან უკვე მესამე ათეულ წელს მიუკაკუნა?

### მერიონ ჯონსი
### (კალათბურთი – მძლეოსნობა)

სანამ მძლეოსნობაში ფურორს მოახდენდა, მოიგებდა ოლიმპიადას, მსოფლიოს ჩემპიონატებს და გახდებოდა პლანეტის სპორტსმენი ქალის სახე, დაახლოებით ისეთი, როგორიც ახლა ჩოგბურთელი მარია შარაპოვა გახლავთ, მერიონ ჯონსი კალათბურთს თამაშობდა და მერე როგორ! ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტის ქალთა გუნდში ის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ, პირველივე კურსზე საშუალოდ 18,9 ქულას აგროვებდა, გახდა ლიგის ჩემპიონი, მოხვდა სტუდენტთა მესამე სიმბოლურ ხუთეულში. ქალთა ნბა-შიც ძალზე სასურველი იყო, მაგრამ...

შველივით სწრაფ ჯონსს 1996 წელს ატლანტას ოლიმპიადაზე გამოსვლის შანსი მიეცა და მანაც კალათბურთი მიატოვა. სანანებელი თავიდან არც არაფერი ჰქონდა, 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე სამი ოქრო და ორი ბრინჯაო მოიპოვა, სამჯერაც მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მაგრამ მერე დოპინგზე ჩავარდა და... ახლა ეს ქალურადაც მომხიბლავი შვლისფეხა გოგო საერთოდ ციხეში ზის.

ყველამ იცოდა, რომ ჯონსი აღარ დაბრუნდებოდა კალათბურთში, მაგრამ 2003 წელს ვნბა-ს დრაფტზე მაინც აირჩია „ფინიქს მერკურიმ". ექვსთვიან ვადას რომ მოიხდის, მერიონმა იქნებ სცადოს გულის კალათბურთით გადაყოლება, მაგრამ სახელგატეხილ სპორტსმენს კალთებს ნამდვილად აღარავინ დაახევს.

### კრის უიტი
### (ციგურაობა – ველოსპორტი)

მინიატურული ამერიკელი მოციგურავე სხვებზე მეტად ტოვებს უნივერსალური სპორტსმენის შთაბეჭდილებას. იგი ყინულის ბილიკის ნამდვილი დედოფალი იყო, მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა, შეაგროვა სრული ოლიმპიური კომპლექტი, მერე კი ციგურებიდან ჩამოვიდა, ველოსიპედზე შეჯდა და სიდნეის ოლიმპიადაზე 500 მეტრზე რბოლაში არაპროფესიონალისთვის წარმოუდგენლად მაღალი, მეხუთე ადგილით მოიწონა თავი.

### დუეინ ჩამბერსი
### (მძლეოსნობა – რაგბი)

დოპინგსკანდალმა და დისკვალიფიკაციამ ბრიტანეთის უსწრაფეს მორბენალს იმედისმომცემი კარიერა დაუმახინჯა. ჩამბერსი ბოლო წელს ცდილობდა სარბენ ბილიკზე დაბრუნებას, წლეულს მსოფლიოს ჭერქვეშა პირველობაზე ვერცხლიც აიღო, ბრიტანეთის ჩემპიონიც გახდა, მაგრამ აგერ სულ ახლახანს უთხრეს, რომ ოლიმპიადაზე არ წაგიყვანთო. სასამართლოში გასაჩივრებამაც ვერ უშველა, ასე რომ 30 წლის ჩამბერსმა იქნებ თავი ბოლომდე მისცეს 13-კაცა რაგბის, რომელიც წლეულს წაითამაშა და ფრთის კარგი მოიერიშის შთაბეჭდილებაც დატოვა.










# რუსეთი პანიკის ზღვარზე

## Почему с такой великой державой, как Россия, никто не считается?




უოლიმპიადოდ დარჩენილი ელენა სობოლევა

**ძნელია,** რუსეთის ოლიმპიურ გუნდში, კერძოდ მის სამძლეოსნო სექტორში გამეფებულ ვითარებას ერთი სახელი მოუძებნო — პანიკა, ბრაზი, ბოღმა, შიში, მოლოდინი, გაურკვევლობა... ყველა ეს გრძნობა ერთად დაუფლებიათ რუს მძლეოსნებს, რომელთაც ზედ ოლიმპიადის დაწყების წინ რამდენიმე საუკეთესო სპორტსმენი დაკარგეს.

მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციამ, ანუ იააფ-მა ორი დღის წინ დოპინგ-ტესტების გაყალბებაში ბრალი დასდო და თავისი ეგიდით გამართულ ტურნირებზე, მათ შორის ოლიმპიადაზე გასვლა აუკრძალა ექვს რუს სპორტსმენს — ელენა სობოლევას, დარია პიშჩალნიკოვას, გულფია ხანაფეევას, ტატიანა ტომაშოვას, იულია ფომენკოსა და სვეტლანა ჩერკასოვას. ამ უკანასკნელმა ვერ გაიარა კვალიფიკაცია და ისედაც ვერ აიღო ოლიმპიური ლიცენზია, მაგრამ დანარჩენი ხუთი ცნობილი სპორტსმენები არიან და თითქმის ყველა მათგანი უმაღლესი სინჯის მედლისთვის იბრძოლებდა ამ ოლიმპიადაზე. ერთი დღის შემდეგ შერისხულ ექვსეულს დაემატა ოლგა ეგოროვაც. მაგრამ თავად რუსულ სპორტულ კულუარებში დადის შიშისგან დაზაფრული ხმები, რომ დროებით დისკვალიფიცირებულთა რიცხვი შეიძლება კიდევ გაიზარდოს და რუს მძლეოსანთა ოლიმპიურ ასეულს კიდევ რამდენიმე ოქროსმაძიებელი ქალი ჩამოშორდეს.

ყველა ესენი ეჭვმიტანილები არიან დოპინგის ხმარებაში, მაგრამ პირდაპირი გზით ეს არ უმტკიცდებათ. მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტომ ჯერ მხოლოდ დოპინგ-ტესტების გაყალბებაში ამხილა, კერძოდ — 2007 წელს ორ-ორჯერ აღებულ ანალიზებში ერთმანეთს არ ემთხვევა მძლეოსანთა დნმ, რის გამოც ექიმები ეჭვობენ, რომ მძლეოსნებმა ითაღლითეს და სხვისი ანალიზი წარუდგინეს ანტისადოპინგო სააგენტოს. სიმართლე ითქვას და, ჯერ არც გაყალბებაა 100 პროცენტით დამტკიცებული და რუს მძლეოსნებსაც ამის გამო დროებით, საქმის საბოლოო გამოკვლევამდე შეუჩერდათ ასპარეზობის უფლება.

ბევრი მათგანი გაბრაზებულია, ხოლო მათ ვინც არ მოხვდა შერიცხულთა სიაში, გული უფრიალებთ, ემანდ ჩვენც არ ჩამოგვაშორონ ოლიმპიადასო. ყველაზე მეტს როებით დისკვალიფიცირებულთა შორის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი ელენა სობოლევა ბორგავს, რომელიც წლეულს გვარიან ფორმაში გახლავთ, ვალენსიაში მოიგო მსოფლიოს ჭერქვეშა პირველობა და ერთბაშად ორ დისციპლინაში — 800 და 1 500 მეტრებზე ფლობდა სეზონის რეკორდებს, ანუ პეკინში ის ორივე ამ დისტანციაზე ოქროსთვის იბრძოლებდა.

გუშინ სობოლევამ ცხელ გულზე ბლიც ინტერვიუც მისცა საინტერნეტო გამოცემა სოვსპორტრუ-ს, სადაც პირდაპირ გაშმაგებული ჩანს:

**— ხმები დადის, რომ სკანდალის თაობაზე თქვენ ადრევე იცოდით და ამიტომ არ გაყევით გუნდს ირკუტსკში უკანასკნელ მოსამზადებელ შეკრებაზე...**

— სრული სისულელეა! ჩვენ კისლავოდსკში ვემზადებოდით, როგორც ეს თავიდანვე იყო დაგეგმილი. ირკუტსკში კი 9 აგვისტოს უნდა ჩავფრენილიყავით. უცებ, ოთხშაბათს ჩემმა მწვრთნელმა მატვეი ტელიატნიკოვმა დამირეკა და მაცნობა, რომ შეიძლება ძალზე სერიოზულ პრობლემებს გადავყროდი. მე, ცხადია, არ დავიჯერე, რადგან 200 პროცენტით დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენ ყველაფერი წესრიგში გვაქვს. მაგრამ როცა ეს სიახლე დამტკიცდა, ფეხქვეშიდან მიწა გამომეცალა. ატირებაც კი ვერ შევძელი.

**— თქვენ დოპინგ-ტესტის შეცვლაში გდებენ ბრალს, იმის გამო, რომ 2007 წლის აპრილში აღებულ ტესტში თქვენი დნმ არ ემთხვევა მოგვიანებით აღებულ ტესტში აღმოჩენილ დნმ-ს.**

— თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამხელა დამცირების გადატანა გვიხდება, პირდაპირ გაგვაწამეს პროცედურებით. შეუძლებელია ანალიზის შეცვლა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს პროვოკაციაა. უბრალოდ, ჩვენი ეშინიათ. არავისთვისაა საიდუმლო, რომ ჩვენ მედლების პრეტენდენტები ვიყავით. პირადად მე კი ოქრო ამაცალეს. რამდენი წელი მოვდიოდი ამ მიზნისკენ, რამდენს ვმუშაობდი... ახლა კი ყველაფერი ფუჭი გამოდის.

**— ვისგან უნდა ელოდეთ შველას?**

— არ ვიცი. ფედერაციის პრეზიდენტმა ვალენტინ ბალახნიჩევმა თავისთან გამოგვიძახა და შეგვპირდა, რომ ყველაფერს გააკეთებს, ჩვენ რომ მოვხვდეთ თამაშებზე. მაგრამ ყველამ ხომ გადასარევად იცის, რომ დრო აღარ რჩება. ამიტომაც გამოცხადდა ჩვენი დისკვალიფიკაცია ასე გვიან, რომ ვერაფერი მოგვესწრო. რატომ არავინ უწევს ანგარიშს ისეთ დიდ ქვეყანას, როგორიც რუსეთია? (Почему с такой великой державой, как Россия, никто не считается?) რატომ ვერ გვიცავს ვერავინ? უბრალოდ, აღარ ვიცი, ვის ვთხოვოთ დახმარება. კარგი, მესმის, დოპინგი ეპოვათ და დაემტკიცებინათ. აქ კი ვერაფერს ვერ გვიმტკიცებენ, უბრალოდ გამოგვიცხადეს დნმ-ს შეცვლაზე. ვინ შეცვალა? როდის? შეცვალა კი ვინმემ საერთოდ? ვერავინ შეძლებს ამ კითხვაზე პასუხის გაცემას.

**— ახლა რის გაკეთებას აპირებთ?**

— არ ვიცი, ლოდინიღა დაგვრჩენია. ძნელი იქნება ამ კოშმარის დავიწყება.

ხომ ასე გადარეულია სობოლევა და ალბათ არც სხვა დისკვალიფიცირებულები უნდა იყვნენ ნაკლებად აღელვებულები, მაგრამ რუსთა ბანაკი აცხადებს, რომ ისინი ჩივილს არ აპირებენ, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მაინც.

„ეს უპრეცენდენტო შემთხვევაა, ასეთს უბრალოდ ვერ ვიხსენებ — ამბობს რუსეთის სპორტის მინისტრი ვიტალი მუტკო, რომელიც ამავდროულად რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტიც გახლავთ — როცა ოლიმპიადის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე შეჯიბრებიდან ხსნიან მედლების პრეტედენ მთელ რიგ სპორტსმენებს, ასეთ შემთხვევას შემთხვევითაობად ნამდვილად ვერ მონათლავ. არ გვსურს სკანდალის შექმნა, ვამტკიცოთ ერთი და მერე მოგვიხდეს საპირისპირო მტკიცებულებათა მოსმენა. და განსაკუთრებით არ გვსურს რაიმე ლონეს მივმართოთ ოლიაპიადის დაწყების წინ და თვითონ ოლიმპიადის მსვლელობისას. ოლიმპიადა სპორტის ზეიმად უნდა დაგვამახსოვრდეს — ასეთი გეზი მოგვცეს ქვეყნის ხელმძღვანელებმა. მოდით გამოვიდეთ ამ გარემოებიდან — თუ იააფ-მა ასეთი გალაწყვეტილება მიიღო, ესე იგი მას ამის მიზეზი ჰქონდა, ხოლო რა მიზეზი იყო ეს, ამაში ჩვენ დეტალურად გავერკვევით. თუ დავინახეთ, რომ სპორტის საერთაშორისო ორგანიზაციები ჩვენს წინაალმდეგ კანონს არღვევენ, მაშინ მათ სხვაგვარად დაველაპარაკებით. შეიძლება, სასამართლოშიც მივიდეთ, ან მივმართოთ დაცვის სხვა საშუალებებს. მაგრამ ახლა უმთავრესია, რომ მშვიდად გავაგრძელოთ ოლიმპიადისთვის მზედება. შემთხვევით როდი გაფრინდა რუსეთის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი ვალენტინ ბალახნიჩევი ირკუტსკში. მან იქ მორალურად უნდა გაამხნევოს დარჩენილი გუნდი.“

მუტკოს ნათქვამში ჩანს სიფრხილეც, მუქარაც და კონსტრუქციულობაც. დიპლომატი კაცია და სიტყვა არ შეეშლება.

მაგრამ ერთია სიტყვა და მეორე საქმე. დოპინგთან რუსების ურთიერთობა ნამდვილად არ დაწყებულა პეკინის ოლიმპიადის წინ. არაერთი რუსი მძლეოსანი ჩავარდნილა აკრძალული პრეპარატების ხმარებაზე — თუნდაც ახლა დისკვალიფიცირებული შვიდეულიდან ერთ-ერთი, უროს მტყორცნელი გულფია ხანაფეევა შარშან ამხილეს, მაგრამ მან გამართლება მოახერხა. დოპინგი დაუმტკიცდა ხანაფეევას მეგობარსა და კონკურენტს, უროს ტყორცნაში მისი კუთვნილი მსოფლიო რეკორდის მომხსნელ ტატიანა ლისენკოს, რომელიც კვლავინდებურად დისკვალიფიცირებულია. კიდევ არაერთ მაგალითს ვიპოვით, თუ ბოლო ხუთიოდ წელიწადის არქივს გადავხედავთ, ასე რომ, ეს სკანდალი, რამდენად ხმაურიანიც უნდა იყოს, არავის უკვირს. ვითომ ისიც შემთხვევითია, რომ დისკვალიფიცირებულ შვიდეულში ოთხი გოგონა ერთსა და იმავე სახეობაში, 1500 მეტრზე სირბილში გამოდის? ისინი ხომ ერთად იზრდებოდნენ და ასე ერთადაც ჩავარდნენ.

**ირაკლი ფირაშვილი**



### ბილის საერთაშორისო ტურნირი

19 ივლისი — 1 აგვისტო

X ტური

*ევგენი ალექსეევი (რუსეთი) — იანიკ პელეტიე (შვეიცარია) 1:0*

*მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) — ალექსანდრ ონიშჩუკი (აშშ) 0,5:0,5*

*ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი) — ლენერ დომინგესი (კუბა) 1:0*

*ტაიბრეიკი*

*ევგენი ალექსეევი — ლენერ დომინგესი 2,5:1,5*

# ბილის რუსული სენსაცია

**აი** სენსაციაც. ევგენი ალექსეევმა ტაიბრეკიებში ლენერ დომინგესი 2,5:1,5 დაამარცხა და ბილის 41-ე საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულიც ის გახდა.

არადა ბოლო ტურში რუსი კუბელს მთელი ქულით ჩამორჩებოდა და მისი გამარჯვება ცოტას თუ ეჯერა. გადამწყვეტ ტურში ევგენის პირველზე გასასვლელად მოგება სჭირდებოდა, დომინგესს კი ყაიმიც ჰყოფნიდა, მაგრამ კუბელმა სუსტად ითამაშა, ეტიენ ბაკროს 36-ე სვლაზე დანებდა და როგორც შემდეგ აღმოჩნდა პირველი ადგილიც დაკარგა.

ალეკსეევმაც ბაკროს ასეთი საჩუქარი ტკბილად შეირგო, აუტსაიდერი იანიკ პელეტიე 43-ე სვლაზე დააშამათა და საქმე ტაიბრეიკებამდე მიიყვანა.

თავიდან ორი სწრაფი პარტია ყაიმით დასრულდა და დამატებით ორი ბლიცი დაინიშნა. პირველ პარტიაში თეთრებით ალეკსეევი გამოვიდა და 47-ე სვლაზე ყაიმი ითამაშა, განმეორებითში კი უკვე შავებით მოთამაშემ იძალა და მატჩს წერტილი 44-ე სვლაზე დაუსვა. შეგახსენებთ რომ მანამდე ორივე მოჭადრაკე ტურნირზე ორჯერ შეხვდა ერთმანეთს და კუბელმა 1,5:0,5 მოიგო.

შარშანდელი ტრიუმფატორი მაგნუს კარლსენი კი მესამე ადგილს დასჯერდა. მან 6 ქულა დააგროვა და ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩა.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ევგენი ალექსეევი | 6,5 |
| 2. | ლენერ დომინგესი | 6,5 |
| 3. | მაგნუს კარლსენი | 6 |
| 4. | ეტიენ ბაკრო | 5,5 |
| 5. | ალექსანდრ ონიშჩუკი | 4 |
| 6. | იანიკ პელეტიე | 1,5 |



ევგენი ალექსეევი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღუნჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge